შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

# დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

*პირობები დაზუსტდება მოლაპარაკების პროცესში „კანდიდატის“ მოთხოვნის და მისაღები მომსახურებების გათვალისწინებით.*

შენიშვნა:
თუ ამ დანართში მოცემულ დებულებაში არ არსებობს კონკრეტული მითითება, ასეთი დებულება ეხება ყველა მომსახურებას („ეროვნული როუმინგი“, MVNO, თანალოკაცია), გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნორმის შინაარსიიდან გამომდინარე აშკარაა, რომ დებულება შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ მომსახურებას. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების ნიმუშს, შესაბამისად, „დაშვების მსურველთან“ ხელშეკრულება გაფორმდება „დაშვების მსურველის“ მიერ მოთხოვნილ მომსხურებაზე, მხოლოდ იმ კონკრეტული მომსახურების პირობებით, რომელიც ეხება ასეთ მომსახურებას.

მაგთიკომი ----------------                                        კომპანია ----------------

<u>შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება</u>

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 20--წლის -------- შემდეგ მხარეებს შორის:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„მაგთიკომი“**
(შემდგომში მოხსენიებული როგორც – „მაგთიკომი“),

საიდენტიფიკაციო კოდი: 204876606,

იურიდიული მისამართი: ა. პოლიტკოვსკაიას N7, ქ. თბილისი

ელ. ფოსტა:

წარმომადგენელი - გენერალური დირექტორი -

და

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„-------------------“**
(შემდგომში მოხსენიებული როგორც – „კომპანია“ ან „დაშვების მსურველი“),

საიდენტიფიკაციო კოდი: -----------------,

იურიდიული მისამართი: -----------------

ფაქტობრივი მისამართი: -----------------,

ელ. ფოსტა:

წარმომადგენელი - გენერალური დირექტორი - -------------------------

შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის მომსახურების შეთავაზების წინადადება

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

## Contents


პრეამბულა....................5
1. მუხლი. ტერმინთა განმარტება....................6
2. მუხლი. ზოგადი პირობები....................10
3. მუხლი. „ხელშეკრულების“ დანართები....................11
4. მუხლი. „ხელშეკრულების“ საგანი....................11
5. მუხლი. „მხარეთა“ განცხადებები და გარანტიები....................13
6. მუხლი. პროგნოზი....................17
7. მუხლი. იმპლემენტაცია....................18
8. მუხლი. „ხელშეკრულების შესრულების გარანტია“....................19
9. მუხლი. მომსახურების დაწყების წინაპირობები....................22
10. მუხლი. „მომსახურების“ საფასური და ანგარიშსწორება....................23
11. მუხლი. „მომსახურების“ აღრიცხვა....................25
12. მუხლი. „მომსახურების“ გააქტიურების/შეწყვეტის ვადები და პირობები....................26
13. მუხლი. „მაგთიკომის“ ქსელის გამოყენება და დაშვების პირობები....................27
14. მუხლი. საკუთარი სახელით საქმიანობა....................31
15. მუხლი. მარკეტინგი და რეკლამა....................32
16. მუხლი. აბონენტები/ბოლო მომხმარებლები....................33
17. მუხლი. პერსონალური მონაცემები....................35
18. მუხლი. ინფორმაციული უსაფრთხოება....................36
19. მუხლი. თაღლითობის გამოვლენა (ფროდის) და რეაგირება....................37
20. მუხლი. ინტელექტუალური საკუთრება....................42
21. მუხლი. საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება....................44
22. მუხლი. მონიტორინგი/აუდიტი....................46
23. მუხლი. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები....................47

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში


24. მუხლი. „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა ........ 49
25. მუხლი. ცვლილებების განხორციელება ........ 50
26. მუხლი. მომსახურების მიწოდების შეზღუდვა ........ 53
27. მუხლი. ხელშეკრულების შეწყვეტა ........ 56
28. მუხლი. ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურა ........ 59
29. მუხლი. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები ........ 60
30. მუხლი. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება ........ 62
31. მუხლი. პრეტენზიის განხილვის წესი ........ 65
32. მუხლი. ფორს-მაჟორი ........ 67
33. მუხლი. დავის გადაწყვეტა ........ 69
34. მუხლი. კომუნიკაცია „მხარეთა“ შორის ........ 69
35. მუხლი. დასკვნითი დებულებები ........ 70

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

# პრეამბულა

*ვინაიდან,* „კომისიის“ 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 გადაწყვეტილებით „მაგთიკომს“ დაკისრებული აქვს სპეციფიკური ვალდებულებები, მათ შორის, გამოაქვეყნოს „ოფერტა“ - მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვებაზე, „ეროვნული როუმინგის მომსახურებაზე“ და „თანალოკაციის მომსახურებაზე“;

*ვინაიდან,* „მაგთიკომმა“ „კომისიის“ 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 გადაწყვეტილებით დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულების შესრულების მიზნით გამოაქვეყნა „ოფერტა“;

*ვინაიდან,* „კომისიის“ 2024 წლის 25 ივლისის #გ-24-9/331 გადაწყვეტილებით, „მაგთიკომი“ ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება მობილურ ქსელთან მობილურ ქსელთან დაშვებაზე, ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) დაშვებაზე ან ეროვნული როუმინგის ან თანალოკაციის მომსახურებაზე იმ პირთან, რომელიც აკმაყოფილებს „ოფერტით“ გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

*ვინაიდან,* „კომპანიამ“ „ოფერტის“ პირობების შესაბამისად, განაცხადით მიმართა „მაგთიკომს“ მობილურ ქსელთან [-------------------------] დაშვების და შესაბამისი საბითუმო მომსახურების მიღების მოთხოვნით;

*ვინაიდან,* „კომპანია“ ადასტურებს, რომ აკმაყოფილებს „ოფერტით“ გათვალისწინებული პირობებს და აქვს შესაძლებლობა შეასრულოს „ოფერტით“ და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები;

*ვინაიდან,* „კომპანია“ გაეცნო „ოფერტას“ და აცხადებს უპირობო აქცეპტს მისი ყველა პირობის მიმართ;

*ვინაიდან,* „მხარეებმა“ „ოფერტის“ პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით დაიწყეს მოლაპარაკებების პროცესი;

*ვინაიდან,* „მხარეებს“ სურთ წინამდებარე ხელშეკრულებით დაარეგულირონ „მაგთიკომის“ მობილურ ქსელთან „კომპანიის“ დაშვების პირობები;

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

*ამდენად,* „მხარეები“ დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას ქვემოთ მოცემული პირობებით.

წინამდებარე ხელშეკრულება“ შემუშავებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „კომისიის“ დადგენილებების, კომისიის გადაწყვეტილებების, „კომისიის“ გადაწყვეტილებით „მაგთიკომისათვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების, სხვა ნორმატიული აქტების და „ოფერტის“ შესაბამისად.

# 1. მუხლი. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1.1. **„ავტორიზებული პირი“** - „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირი, რომელიც ახორციელებს ან განზრახული აქვს განახორციელოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდება ბოლო მომხმარებლებისთვის.

1.1.2. **„აფილირებული პირი“** - პირი, რომელიც:

- **1.1.2.1** პირდაპირ ან არაპირდაპირ „აკონტროლებს“ „კომპანიას“ ან „კონტროლდება“ „მხარის“ მიერ ან ასეთ პირთან ერთად არის საერთო „კონტროლის“ ქვეშ მესამე პირის მიერ;
- **1.1.2.2** პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს/მართავს „მხარის“ წილს/აქციებს;
- **1.1.2.3** „მხარესთან“ დაკავშირებულია პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესით.

1.1.3. **„აბონენტი“** - ბოლო მომხმარებელი, რომელსაც „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელთან“ წინასწარ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე მიეწოდება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება.

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**1.1.4. „ბოლო მომხმარებელი“** – მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებლისათვის.

**1.1.5. „ბილინგის მონაცემები“** – ავტომატიზირებული სისტემის (პროგრამის) მიერ აღრიცხული ინფორმაცია, ქსელების შესაბამისი ელემენტებით დატვირთვის და საოპერაციო რესურსების გარკვეულ პერიოდში გამოყენებული მოცულობის (ტრაფიკის) შესახებ.

**1.1.6. „დამატებითი მომსახურება“ –** „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურება, გარდა „ძირითადი მომსახურებისა“.

**1.1.7. „ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი“** – ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი ან მისი ქსელის შესაბამის ელემენტებთან ან რესურსებთან დაშვებული „ავტორიზებული პირი“, რომელსაც განზრახული აქვს ან ახორციელებს ქსელის ამ ელემენტებით ან რესურსებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას.

**1.1.8. „კომისია“** – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

**1.1.9. „კონტროლი“** - ნიშნავს პირის მიერ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, უფლებამოსილების ქონას მართოს საქმეები და რომელი პირიც:

**1.1.9.1** არის „მხარის“ აქციების ან წილის ან ხმის უფლების მფლობელი; ან/და

**1.1.9.2** აქვს უფლება დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორები ან სხვაგვარად აკონტროლოს ხმები ასეთი კომპანიის დირექტორთა/სამეთვალყურეო საბჭოს კრებებზე; ან

**1.1.9.3** ნებისმიერი სხვა საშუალებით ან მექანიზმით გავლენას ახდენს „მხარის“ გადაწყვეტილების ფორმირებაზე, არსებული სადამფუძნებლო ორგანიზაციული დოკუმენტებით (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება „მხარის“ წესდებით, დებულებით ან შიდაორგანიზაციული აქტებით), ასეთი „მხარის“ ნებისმიერ პარტნიორთა შეთანხმებით ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტით, მინიჭებული ნებისმიერი უფლებამოსილების ძალით ან სხვა ნებისმიერი საშუალებით.

**1.1.10. „კანონმდებლობა“** - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

1.1.11. **„მხარე“** - „მაგთიკომი“ ან „კომპანია“/„დაშვების მსურველი“ კონტექსტიდან გამომდინარე.

1.1.12. **„მხარეები“** - „მაგთიკომი“ და „კომპანია“/„დაშვების მსურველი“ მოხსენიებული ერთობლივად.

1.1.13. **„მესამე პირი“** - ნებისმიერი პირი, გარდა „მხარეებისა“.

1.1.14. **„მომსახურება“** – „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „ძირითადი მომსახურება“ ან/და „დამატებითი მომსახურება“, კონტექსტიდან გამომდინარე.

1.1.15. **„მობილური საკომუნიკაციო მომსახურება“** – საერთო სარგებლობის სატელეფონო მომსახურებები, რომლებიც განკუთვნილია პირდაპირ ან არაპირდაპირ, ეროვნული ან ეროვნული და საერთაშორისო ზარების და მათთან დაკავშირებული საკომუნიკაციო მომსახურებების (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება) განსახორციელებლად და მისაღებად, ეროვნულ ან საერთაშორისო ნუმერაციის გეგმაში მითითებული შესაბამისი ტელეფონის ნომრის ან ნომრების გამოყენებით, რომლებიც საერთო სარგებლობის მობილური საკომუნიკაციო ქსელით არის უზრუნველყოფილი (საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი არაფიქსირებული ტერმინაციის წერტილებით).

1.1.16. **„ოფერტა“** – „მაგთიკომის“ ოფერტა შპს მაგთიკომის მობილურ ქსელთან მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) სავალდებულო დაშვების, ეროვნული როუმინგის და თანალოკაციის სავალდებულო მომსახურების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“).

1.1.17. **„პროგნოზი“** - განმარტებულია „ხელშეკრულების“ <u>მე-6 მუხლში</u>.

1.1.18. **„საცალო ტარიფი“** – მხარის მიერ საკუთარი აბონენტისათვის დადგენილი საფასური ცალკეული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების გაწევაზე, ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევისას.

1.1.19. **„საგარანტიო თანხა“ –** „კომპანიის“ მიერ „მაგთიკომის“ ანგარიშზე (დეპოზიტზე) ჩარიცხული თანხა, რომელიც ითვლება „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიად (რომელზეც არ ხორციელდება პროცენტის დარიცხვა) და იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ დაფარავს შეასრულებს/დაარღვევს

„ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებას „მაგთიკომს“ უფლება ეძლევა უაქცეპტოდ წესით დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა არსებული საგარანტიო თანხიდან. „საგარანტიო თანხა“ არ არის ავანსის სახით გადახდილი თანხა.

1.1.20. **„საბანკო გარანტია“** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ გაცემული ფულადი გამოუხმობადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს („მაგთიკომს“), ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. რომლის ნიმუში წარმოადგენს „ხელშეკრულების“ დანართს.

1.1.21. **„სამუშაო დღე“** - ნებისმიერი დღე შაბათის, კვირის და კანონმდებლობით გათვალისწინებული უქმე/დასვენების დღეების გარდა.

1.1.22. **„სამუშაო საათები“** – „სამუშაო დღის“ 10:00-დან 18:00 სთ-მდე.

1.1.23. **„ფროდი“** - ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც იძლევა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურებისთვის და/ან სხვა სახის მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავის არიდების ან საფასურის შემცირების შესაძლებლობას ან მსგავსი მიზნით ნებისმიერი სხვა არამართლზომიერი ქმედება, რომელიც აღწერილია „ხელშეკრულების“ მე-19 მუხლში.

1.1.24. **„ხელშეკრულების შესრულების გარანტია“** – „საბანკო გარანტია“ ან „საგარანტიო თანხა“.

1.1.25. **„ძირითადი მომსახურება“ –** მობილური ხმოვანი მომსახურება, მოკლე ტექსტური შეტყობინება, მობილური ინტერნეტ მომსახურება.

1.1.26. **„ხელშეკრულება“** - წინამდებარე ხელშეკრულება, 3.1 პუნქტში მითითებული ყველა შეთანხმება/დოკუმენტი/დანართი და მათში შესული ცვლილებები/დამატებები.

**1.2.** „ხელშეკრულებაში“ მითითებული აბრევიატურების განმარტება მოცემულია „ხელშეკრულების“ დანართში.

**1.3.** ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული „ხელშეკრულებით“, განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 2. მუხლი. ზოგადი პირობები

**2.1.** „ხელშეკრულების" გაფორმების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „კომისიის" მიერ „მაგთიკომისთვის" დადგენილი სპეციფიკური ვალდებულებები, როგორც ეს მითითებულია პრეამბულაში, შესაბამისად მისი გაფორმება წარმოადგენს არა „მაგთიკომის" სურვილს, არამედ „მაგთიკომის" მიერ „კომისიის" მხრიდან დაკისრებული ვალდებულების შესრულებას.

**2.2.** „ხელშეკრულების" საგანი, თუ ამავე „ხელშეკრულებაში" სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, შემოიფარგლება მხოლოდ რეგულირებული („კომისიის" გადაწყვეტილებით დავალდებულებული) ტექნიკური საშუალებების ან/და მომსახურებების მიწოდებით.

**2.3.** გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „ხელშეკრულება" ვრცელდება მხოლოდ „მაგთიკომის" მიერ „დაშვების მსურველისთვის" „ტექნიკური საშუალებების" ან/და მომსახურებების" მიწოდებაზე და არ განიმარტება ისე, თითქოს მესამე პირებს რაიმე სარგებელს ანიჭებდეს.

**2.4.** „მაგთიკომი" პასუხს არ აგებს „მაგთიკომის" ქსელისა და „მომსახურებების" მიწოდებაში გამოყენებული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით გადაცემული კომუნიკაციების შინაარსზე/ქონთენთზე.

**2.5.** ყველა ის მოწყობილობა, ქსელის ელემენტი და სხვა ინფრასტრუქტურა, რომლებიც „მაგთიკომს" ეკუთვნის ან „მაგთიკომის" მიერ ან „მაგთიკომის" სახელით არის დამონტაჟებული თუ აშენებული იმისათვის, რომ „მაგთიკომისთვის" შესაძლებელი იყოს „მომსახურებების" მიწოდება, ყოველთვის „მაგთიკომის" სრულ საკუთრებაში დარჩება.

**2.6. „დაშვების მსურველი" „ხელშეკრულებაზე" ხელმოწერით, ადასტურებს რომ მისთვის ცნობილია სასამართლო დავის მიმდინარეობის თაობაზე, სადაც მოსარჩელე არის „მაგთიკომი" და მოთხოვნილი აქვს პრეამბულაში მითითებული „კომისიის" გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სპეციფიკური ვალდებულებების დაკისრების ნაწილში. შესაბამისად, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, „ხელშეკრულების"/ „ოფერტის" პირობები**

დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში გადაიხედება და შეიცვლება, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ამასთან, სპეციფიკური ვალდებულებების გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილი იქნება შეცვალოს ან შეწყვიტოს „ხელშეკრულების“/“ოფერტის“ მოქმედება. ამდენად, „დაშვების მსურველი“ ადასტურებს და ეთანხმება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლოს შეიცვალოს მომსახურების საფასური და ამ შემთხვევაში განხორციელდება „ხელშეკრულების“ საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურის გადაანგარიშება მომსახურების დაწყების დღიდან.

# 3. მუხლი. „ხელშეკრულების“ დანართები

**3.1.** „ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „მხარეთა“ შორის არსებული სამართალურთიერთობა შედგება შემდეგი შეთანხმების/დოკუმენტებისაგან/დანართისაგან:

**3.1.1.** „ოფერტა“;
**3.1.2.** დანართი - „მაგთიკომის“ მიერ „კომპანიისთვის“ მიწოდებული მომსახურების ჩამონათვალი;
**3.1.3.** დანართი - მისაღები მომსახურებები და ტარიფები;
**3.1.4.** დანართი - იმპლემენტაციის გეგმა და მიღება;
**3.1.5.** დანართი - შეთანხმება მომსახურების ხარისხის გარანტიები (SLA, KPI, SLGs);
**3.1.6.** დანართი - შეთანხმება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე;
**3.1.7.** დანართი - ხელშეკრულება ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების კონფიდენციალურობის დაცვაზე;
**3.1.8.** დანართი - საბანკო გარანტიის ტექსტის ნიმუში;
**3.1.9.** დანართი - აბრევიატურების განმარტება.

**3.2.** 3.1 პუნქტში მითითებული თითოეული დოკუმენტი „ხელშეკრულების“ განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სხვა შეთანხმებასთან ერთად, რომელიც შეიძლება გაფორმდეს „ხელშეკრულების“ ფარგლებში და წარმოადგენს ერთ მთლიან ხელშეკრულებას.

# 4. მუხლი. „ხელშეკრულების“ საგანი

## დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

**4.1.** „ხელშეკრულების“ საგანია„მაგთიკომის“ მიერ დანართში მითითებული მომსახურების მიწოდება „კომპანიისთვის.

**4.2.** „მომსახურებისა“ მიწოდება მოხდება „ხელშეკრულების“ შესაბამისად და დანართებში განსაზღვრული დაშვების დონის, სხვა პირობებისა და ფასების მიხედვით.

**4.3.** „ხელშეკრულების“ დანართებში განხილულია ის „ძირითადი მომსახურებები“ და „დამატებითი მომსახურებები“, რომლებზე დაშვებასაც/მიწოდებასაც „ხელშეკრულების“ მიხედვით იძლევა „მაგთიკომი,“ და ის კონკრეტული პირობები, რომლებითაც „მაგთიკომი“ ახორციელებს „მომსახურების“, დაშვების და ტექნიკური საშუალებების მიწოდებას.

**4.4.** „ხელშეკრულების“ დანართში განსაზღვრულია და განხილულია ის პროცესები და პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს „დაშვების მსურველის“ მიერ „ხელშეკრულების“ მიხედვით „მომსახურებებზე“ წვდომისთვის, „შეკვეთის“ წარსადგენად, აგრეთვე ის პროცედურები, რომლებიც უკავშირდება ამგვარი „მომსახურებების“ უწყვეტ ოპერირებასა და ტექნიკურ მომსახურებას.

**4.5.** „მაგთიკომი“ „დაშვების მსურველს“ გაუწევს „მომსახურებას“ მხოლოდ იმ მიზნით და „კომპანიამ“ „მომსახურება“ უნდა მიიღოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ „დაშვების მსურველმა“ საკუთარ „ბოლო მომხმარებელს“ მიაწოდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება.

**4.6.** „მაგთიკომი“ ეცდება გამოიყენოს ყველა გონივრული რესურსი და უნარ-ჩვევა იმისათვის, რომ „დაშვების მსურველს“ „მომსახურება“ მიაწოდოს არადისკრიმინაციულად. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ დისკრიმინაციას არ წარმოადგენს შემთხვევა, თუ „დაშვების მსურველი“ ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფს ან არ შეიძენს იმ ყველა იმ „მომსახურებას“ „მაგთიკომისაგან“, რომელიც მიეწოდება „მაგთიკომის“ „ბოლო მომხმარებლებს“.

**4.7.** „მხარეები“ თანხმდებიან, რომ დისკრიმინაციას ასევე არ წარმოადგენს შემთხვევა, თუ „კომპანია“ არ შეიძენს იმ ყველა იმ „მომსახურებას“ „მაგთიკომისაგან“, რომელიც მიეწოდება „მაგთიკომის“ „აბონენტებს“. „მხარეები“ ასევე თანხმდებიან, რომ დისკრიმინაციად და „ხელშეკრულების“ დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც „მაგთიკომი“ შეზღუდავს მომსახურების მიწოდებას (რაც შეიძლება აისახოს „დაშვების მსურველის“ ბოლო მომხმარებლებზეც) თუ „მაგთიკომის“ ქსელის

მთლიანობას ან დაცულობას ექმნება არსებითი პრობლემები გადაჭარბებული ტრაფიკის გამო. ასეთი შემთხვევა შესაძლოა იყოს იმ მოცულობის ტრაფიკის გენერირება „დაშვების მსურველის“ მხრიდან, როემლიც აჭარბებს „დაშვების მსურველის“ მხრიდან მოწოდებულ პროგნოზს.

**4.8.** „დაშვების მსურველი“ აღიარებს, რომ მიუხედავად „მაგთიკომის“ ძალისხმევისა და კეთილი განზრახვებისა, „მაგთიკომისთვის“ შეუძლებელია გაუმართაობისგან თავისუფალი „მომსახურების“ მიწოდება. ნებისმიერი ამგვარი გაუმართაობა დაექვემდებარება რეაგირებას და გადაწყდება მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმით გაუმართაობის გადაწყვეტის პროცედურის შესაბამისად.

**4.9.** „მაგთიკომის“ მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხზე შეთანხმება, მომსახურების ხარისხის გარანტიები, შესრულების ძირითადი ინდიკატორები მოცემულია დანართში.

**4.10.** „ეროვნული როუმინგი მომსახურების“ მიწოდება ხორციელდება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც „კომპანიას“ არ აქვს შესაძლებლობა „მობილური საკომუნიკაციო მომსახურება“ მიაწოდოს „აბონენტებს“ ან მიწოდებული სერვისის უხარისხოა. გეოგრაფიული არეალები მითითებულია იქნება დანართში.

**4.11.** „MVNO მომსახურების“ მიწოდება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ ფლობს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად საჭირო რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიას.

**4.12.** „მომსახურების“ „კომპანიას“ მიეწოდება მხოლოდ იმ არეალში, სადაც ვრცელდება „მაგთიკომის“ დაფარვა და იმ თანალოკაციის წერტილებში, სადაც „მაგთიკომს“ აქვს დაშვების თავისუფალი რესურსი.

## 5. მუხლი. „მხარეთა“ განცხადებები და გარანტიები

**5.1.** „მხარეები“ აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**5.1.1.** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აქვთ სრული უფლებამოსილება გააფორმონ „ხელშეკრულება“ ამავე „ხელშეკრულებაში“ მოცემული პირობების გათვალისწინებით;

**5.1.2.** ექნებათ ყველა საჭირო კორპორაციული უფლებამოსილება და ძალაუფლება რომ გააფორმონ „ხელშეკრულება“ და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო „ხელშეკრულების“ შესრულება და მიწოდება გათვალისწინებული ტრანზაქციების შესრულება სათანადოდ არის/იქნება ავტორიზებული ყველა საჭირო კორპორაციული ქმედებებით;

**5.1.3.** წარმოადგენენ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ავტორიზებულ პირებს;

**5.1.4.** გარდა „ხელშეკრულებაში“ მითითებულისა, არ არსებობს დაბრკოლებები „ხელშეკრულების“ გასაფორმებლად;

**5.1.5.** არიან ქმედუნარიანნი;

**5.1.6.** მათთვის ცნობილია, რომ ყალბი/არასწორი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება „კანონმდებლობის“ შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას, და შესაძლოა გამოიწვიოს „ხელშეკრულების“ ცალმხრივად შეწყვეტა და შესაბამისი პასუხისმგებლობა;

**5.1.7.** დაიცვან ერთმანეთი ყოველგვარი დანაკარგისგან, სარჩელისაგან, სანქციისაგან, მოთხოვნისაგან, ვალდებულებისაგან, ზიანისაგან და ხარჯებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნება „მხარის“ მიერ გაცემული გარანტიების დარღვევასთან ან/და მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან ან/და მათ არაჯეროვან შესრულებასთან.

**5.2.** „კომპანია“ ადასტურებს რომ:

**5.2.1** გაცნობილია „ოფერტას“ და კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა/შეასრულებს მის პირობებს;

**5.2.2** მოქმედებს კეთილსინდისიერი განზრახვით და მისი მიზანია საკუთარი „აბონენტებისთვის“ „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების“ მიწოდება;

**5.2.3** მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად ფლობს ყველა აუცილებელ რესურსს, მათ შორის, შესაბამის ინფრასტრუქტურას;

**5.2.4** „MVNO მომსახურების“ „მსურველი პირი“ ან მისი „აფილირებული პირი“ არ ფლობს საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის ლიცენზიას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების“ უზრუნველსაყოფად;

## დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

**5.2.5** „ეროვნული როუმინგის“ შემთხვევაში, „კომპანიას“ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში არ აქვს შესაძლებლობა „აბონენტებს“ მიაწოდოს „მობილური საკომუნიკაციო მომსახურება“ ან მიწოდებული სერვისი უხარისხოა;

**5.2.6** „ეროვნული როუმინგის“ შემთხვევაში, მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად ფლობს ყველა აუცილებელ რესურსს, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად განკუთვნილ რადიოსიხშირულ ლიცენზიას და შესაბამის ინფრასტრუქტურას;

**5.2.7** „ეროვნული როუმინგის“ შემთხვევაში, საკუთარ „აბონენტებს“ აწვდის მობილურ საკომუნიკაციო მომსახურებას;

**5.2.8** ფლობს ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფას, რაც საჭიროა საკომუნიკაციო მომსახურების მისაწოდებლად და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ფროდის აღმოსაჩენად;

**5.2.9** ფლობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მექანიზმებს თაღლითური შემთხვევების (ფროდის) და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციის, გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირებისათვის (ITU-T x.805 სტანდარტის და მისი დანართს ITU-T X.805 – Supplement on security guidelines for mobile virtual network operators” და GSMA –ს FS.19 და FS.11 რეკომენდაციების შესაბამისად);

**5.2.10** მის მიერ გამოყენებული აპარატურა/პროგრამული უზრუნველყოფა არის სტანდარტების შესაბამისი და ფლობს ყველა ლიცენზიას მიერ გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე/აპლიკაციაზე;

**5.2.11** მისი აპარატურა/პროგრამული უზრუნველყოფა არის იმ სპეციფიკაციების, რომელიც მოცემულია „ხელშეკრულების“ დანართში და აპარატურის სერთიფიკატში და მის მიერ არ მომხდარა აპარატურის რაიმე სახით ცვლილება/მოდიფიცირება;

**5.2.12** მისი აპარატურა/პროგრამული უზრუნველყოფა არ დააზიანებს „მაგთიკომის“ ქსელს/მოწყობილობებს და არ მოახდენს საზიანო ხელშეშლას და არ გამოიწვევს რაიმე სახის შეფერხებას „მაგთიკომის“ მოწყობილობების/ქსელის გამართულ/ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირებაზე;

**5.2.13** „MVNO მომსახურების“ „მსურველ პირს“ არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ვირტუალური ქსელის დაშვების ან მსგავსი მომსახურების მისაღებად სხვა „ავტორიზებული პირთან“;

**5.2.14** „კომისიის“ წევრი ან მისი ოჯახის წევრი არ წარმოადგენს „კომპანიის“ ან მისი „აფილირებული პირის“ წილის ან აქციის მფლობელს ან არ არის „კომპანიის“ ან მისი „აფილირებული პირის“ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, ისევე როგორც „კომპანია“ ან მისი „აფილირებული პირი“ არ იმყოფება „კომისიის“ წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის“ ქვეშ;

მაგთიკომი -----------------                                        კომპანია -----------------

**5.2.15** აქვს შესაძლებლობა შეასრულოს „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებები და რომ მის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული წარმოება, იძულებითი აღსრულება, ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს საჩივარი, სარჩელი ან სხვაგვარი მოთხოვნა, გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოება ან სხვა სახის პროცედურა, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

**5.2.16** „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულების“ მოლაპარაკების პროცესში წარმოდგენილი ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია/განმარტება არის ზუსტი, ნამდვილი და უტყუარი;

**5.2.17** არის სათანადოდ კვალიფიცირებული, ჰყავს შესაბამისი კვალიფიციური კადრები, რომ დაგეგმოს და აწარმოოს საკომუნიკაციო ბიზნესი და შეასრულოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები;

**5.2.18** დაიცავს „ხელშეკრულებით და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებულ უსაფრთხოების, მათ შორის შრომის, ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმებს;

**5.2.19** დაიცავს „კანონმდებლობით“ გათვალისწინებულ ყველა სანიტარულ ნორმას, მათ შორის ადამიანის/გარემოზე ზემოქმედების დადგენილ სტანდარტებს;

**5.2.20** დაიცავს „აპარატურის“ მწარმოებლის მიერ დადგენილ სტანდარტებს და სარგებლობის პირობებს;

**5.2.21** დაიცავს „ხელშეკრულების“ დანართით დადგენილ სპეციფიკურ ნორმებსა და სტანდარტებს;

**5.2.22** „ხელშეკრულების“ პირობებზე შეთანხმება განხორციელდა მისი შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

**5.3.** „მხარეთა“ განცხადებები და გარანტიები ძალაშია „მხარეთა“ „ხელშეკრულების“ საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად „ხელშეკრულების“ სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

**5.4.** „მხარეები“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებენ ერთმანეთს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მათ აღნიშნულ განცხადებებთან და გარანტიებთან ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება მათ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.

**5.5.** „მხარეები“ აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ ისინი მხოლოდ ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებენ/დადებენ და შეასრულებენ „ხელშეკრულებას“ და „მხარეები“ პასუხისმგებელნი არიან მათ ყველა განცხადებასა და გარანტიის უტყუარობაზე.

**5.6.** ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომისთვის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

## 6. მუხლი. პროგნოზი

**6.1** „კომპანია“ ვალდებულია ქსელთან დაკავშირების გეგმის და ვადების შესამუშავებლად წარმოადგინოს საკმარისად დეტალური და რეალისტური პროგნოზი.

**6.2** „ეროვნული როუმინგის მომსახურების“ და „MVNO მომსახურების“ პროგნოზის შესახებ მონაცემებში მითითებული უნდა იყოს ხმოვანი ზარების მოცულობა (წუთები), მონაცემთა გადაცემა (მეგაბაიტები) და SMS ტრაფიკი (SMS შეტყობინებები), რომელიც სავარაუდოა, რომ ათვისებული იქნება „კომპანიის“ მომხმარებლების მიერ, სერვისის დაწყებიდან 12 თვის განმავლობაში.

**6.3** „კომპანიამ“ უნდა წარადგინოს შემდგომი 12 თვის მონაცემები პროგნოზის შესახებ, მათ შორის MD&A დაგეგმილ პროგნოზთან და ფაქტობრივი შესრულების შესახებ, ყოველ ჯერზე წინა პროგნოზის შესახებ მონაცემების პერიოდის დასრულებამდე 90 დღით ადრე.

**6.4** „კომპანია“ აცნობიერებს, რომ ქსელთან დაშვების გეგმა, მათ შორის ტევადობის მენეჯმენტი, შემუშავებულია „კომპანიის“ მიერ წარმოდგენილი პროგნოზის საფუძველზე შემთხვევაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ქსელში ინვესტირების აუცილებლობა.

**6.5** „მომსახურების“ დაწყებამდე ან „მომსახურების“ დაწყებიდან ნებისმიერ ეტაპზე, პროგნოზის ანალიზის საფუძველზე ან „მომსახურების“ მოხმარების გაზრდის

გათვალისწინებით, თუ საჭირო გახდა ინვესტიციების განხორციელება ან/და რაიმე ხარჯის გაწევა „კომპანიის" მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, „კომპანიას" წინასწარ წერილობით ეცნობება ამის შესახებ და „მხარეები" 30 დღის განმავლობაში შეთანხმდებიან ინვესტიციის ან/და ხარჯების პროპორციულ ოდენობაზე, რომელიც უნდა გაიღოს „კომპანიამ".

**6.6** თუ „მხარეები" ვერ მოილაპარაკებენ ინვესტიციის განხორციელებაზე, „კომპანია" ვალდებულია არ გაზარდოს „მომსახურების" მოცულობა და არ გასცდეს უკვე წარდგენილი პროგნოზით გათვალისწინებულ მოცულობას. „მაგთიკომს" უფლებას აქვს არ განიხილოს „კომპანიის" დაუსაბუთებელი მოთხოვნა და უარი თქვას მის დაკმაყოფილებაზე.

**6.7** „მაგთიკომის" მიერ ინვესტიციების განხორციელების აუცილებლობის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში „კომპანიის" მხრიდან პასუხის მიუღებლობა, მიიჩნევა როგორც უარი პროპორციული ინვესტიციის განხორციელებაზე ან/და ხარჯის გაწევაზე და „მაგთიკომს" უფლება ეძლევა თვითონ შეცვალოს საპროგნოზო მონაცემები იმგვარად, რომ თავიდან აიცილოს ინვესტიციების განხორციელება ან/და ხარჯის გაწევა.

**6.8** „კომპანია" ვალდებულია წინასწარ, არაუგვიანეს 30 დღით ადრე შეატყობინოს „მაგთიკომს" ინფორმაცია „კომპანიის" ისეთი პროექტების დაწყების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს ტრაფიკის მოცულობაზე.

## 7. მუხლი. იმპლემენტაცია

**7.1** „ხელშეკრულების" დანართით განისაზღვრება ქსელთან დაკავშირების გეგმა და ვადები, რომელიც უნდა შეასრულონ „მხარეებმა".

**7.2** სამუშაოების განხორციელებისას წარმოშობილი გაუთვალისწინებელი შეფერხების წარმოშობის შემთხვევაში „მხარეები" კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ ვადების ან/და პირობების დაკორექტირებაზე და შეიტანენ შესაბამის ცვლილებას დანართში.

**7.3** „კომპანია" ვალდებულია დანართით დადგენილი წესით გადაიხადოს იმპლემენტიის/დაშვების ხარჯი/საფასური. „ხელშეკრულების" შეწყვეტის შემთხვევაში,

იმპლემენტაციის დროს „კომპანიის“ მიერ გაწეული ხარჯი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

**7.4** გეგმით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების ეტაპებზე „მხარეები“ მოახდენენ ტესტირებას.

**7.5** „მხარეები“ თანხმდებიან, რომ იმპლემენტაციის პროცესში წარმოშობილი ნებისმიერი შეფერხების მიუხედავად, იმპლემენტაციის ვადა არ შეიძლება იყოს „ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 90 დღეზე მეტი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, „მხარეს“ უფლება აქვს დაიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

## 8. მუხლი. „ხელშეკრულების შესრულების გარანტია“

**8.1** „კომპანია“ ვალდებულია გადასცეს „მაგთიკომს“ „საბანკო გარანტია“ ან/და „საგარანტიო თანხა“ ჩარიცხოს „მაგთიკომის“ ანგარიშზე.

**8.2** „კომპანიის“ მიერ გაკეთებული პროგნოზი წარმოადგენს მის მიერ „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ ოდენობის გამოანგარიშების ძირითად საფუძველს. „კომპანიის“ მიერ „საგარანტიო თანხის“ ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს დანართში მითითებულ „მაგთიკომის“ საბანკო ანგარიშზე.

**8.3** საწყისი „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ ოდენობა გამოიანგარიშება „დაშვების მსურველის“ მისაღები ყველა მომსახურების, მათ შორის ინსტალაციის, იმპლემენტაციის, დაშვების მხარდაჭერის ჯამური საფასურით („მინიმალური თანხა“). „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ ოდენობა არ უნდა იყოს 12 თვის პროგნოზის შესაბამისად „მაგთიკომის“ წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების ჯამურ ოდენობაზე ნაკლები, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს ინსტალაციის, იმპლემენტაციის, მხარდაჭერის, დაშვების საფასურს თუ „მხარეები“ შეთანხმდნენ მისი განვადებით გადახდაზე.

**8.4** „კომპანია“ ვალდებულია „საბანკო გარანტიის“ ვადის გასვლამდე არანაკლებ 90 დღით ადრე წარმოადგინოს განახლებული „საბანკო გარანტია“.

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**8.5** „საბანკო გარანტია“ უნდა იყოს ძალაში „ხელშეკრულების“ მოქმედების მთელი პერიოდის და შემდგომ 90 დღის განმავლობაში.

**8.6** იმ შემთხვევაში თუკი, „ხელშეკრულების“ მოქმედების პერიოდში „კომპანიის“ მიერ მიღებული „მომსახურება“ თვის ჭრილში 15%-ით გადააჭარბებს პროგნოზით გათვალისწინებულ მონაცემს, „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას მოსთხოვოს „კომპანიას“ მოახდინოს პროგნოზის ხელახალი გადაანგარიშება. ასეთ შემთხვევაში, „მხარეები“ უნდა შეთანხმდნენ ახალი პროგნოზის გათვალისწინებით „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლით დადგენილი წესით. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, „კომპანიამ“ პროპორციულად უნდა გაზარდოს „ხელშეკრულების შესრულების გარანტია“.

**8.7** „კომპანია“ ვალდებულია ყოველდღიურად აკონტროლოს ტრაფიკი და შესაბამისად „მაგთიკომისთვის“ გადასახდელი საფასურის ოდენობა და ტრაფიკის გაზრდის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა გაზარდოს „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ ოდენობა. თუ უზრუნველყოფის „მინიმალური თანხა“, დროის ნებისმიერ მომენტში, ნაკლებია 12 თვიან პერიოდზე დათვლილ მინიმალურ ღირებულებაზე (იმ შემთხვევის ჩათვლით, როდესაც მოთხოვნა განხორციელდა „მაგთიკომის“ მიერ), „დაშვების მსურველი“ ვალდებულია 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს დამატებითი „დეპოზიტის“ განთავსებას ან „საბანკო გარანტიის“ წარმოდგენა, რომელიც შეესაბამება მინიმალურ ღირებულებას. მოთხოვნის არ შესრულების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურების მიწოდება.

**8.8** „მაგთიკომი“ უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე ნაწილობრივ ან სრულად შეუჩეროს „კომპანიას“ „მომსახურების“ მიწოდება, თუ დაირღვა 8.3-8.7 პუნქტებით გათვალისწინებული პირობა.

**8.9** „მაგთიკომი“ უფლებამოსილია ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე ნაწილობრივ ან სრულად შეუჩეროს „კომპანიას“ „მომსახურების“ მიწოდება, „კომპანიის“ მიერ წარდგენილი „საბანკო გარანტიას“ გაუვა ვადა ან იგი მიჩნეულ იქნება ბათილად/ძალადაკარგულად.

**8.10** „მაგთიკომი“ უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს ფულადი მოთხოვნა „ხელშეკრულების შესრულების გარანტიიდან“ „კომპანიის“ მიერ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელიც „კომპანიის“ მიერ სრულად არ იქნება გადახდილი „ხელშეკრულებით“ დადგენილ ვადაში. „მაგთიკომს“ გააჩნია

დისკრეციული უფლება გამოიყენოს უზრუნველყოფაში წარმოდგენილი ფინანსური ინსტუმენტები ვადაგადაცილებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან დაშვების მსურველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისას.

**8.11** „საგარანტიო თანხიდან“ / „საბანკო გარანტიიდან“ „მაგთიკომის“ ფულადი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შემოიფარგლება „კომპანიის“ მიერ მხოლოდ ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევით, არამედ ვრცელდება ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება წარმოეშვას „მაგთიკომს“ „კომპანიის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ მოთხოვნათა არ ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მათ შორის, პირგასამტეხლოს და ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობისას.

**8.12** „ხელშეკრულების“ ამოქმედების შემდეგ, „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს „უზრუნველყოფის თანხის“ მოცულობას და მოითხოვოს მისი გაზრდა შემდეგი გარემოებების დადგომის შემთხვევაში:

**8.12.1** თუ უზრუნველყოფის თანხა ნაკლებია 12 თვეზე დათვლილ „მინიმალურ თანხაზე“;

**8.12.2** როდესაც, „მაგთიკომის“ აზრით, მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება „დაშვების მსურველის“ გადახდისუნარიანობაში. ასეთ დროს „მაგთიკომს“ შეუძლია მოითხოვოს მინიმალური მოცულობის ზემოთ დამატებითი უზრუნლვეყოფა, რათა შეამციროს წარმოქმნილი რისკი. მეტი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანი ცვლილება გულისხმობს და არ შემოიფარგლება შემდეგით: თუ ბოლო 6 თვის მანძილზე მოხდა გადახდის ვადის დარღვევა სულ მცირე ერთხელ;

**8.12.3** მომსახურებების მოცულობის გაზრდის/დამატების შემთხვევაში იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეესაბამებოდეს დამატებითი სივრცის ან მომსახურებების მიწოდებით წარმოქმნილ ღირებულებას 12 თვიან პერიოდზე.

**8.12.4** შეიცვალა უზრუნველყოფის თანხის დათვლის მეთოდოლოგია.

**8.13** თუ „მხარეთა“ შორის დაიწყება დავა და „მაგთიკომს“ ექნება ფულადი მოთხოვნა „კომპანიის“ მიმართ, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია:

**8.13.1** არ დაუბრუნოს „კომპანიას“ „საგარანტიო თანხა“ დავის დასრულებამდე და დასრულების შემდეგ იმოქმედოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად; და

**8.13.2** გაანაღდოს „საბანკო გარანტია“, როდესაც მისი მოქმედების ვადამდე დარჩება 30 დღით ნაკლები (თუ მანამდე ძალაში არ იქნება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება) და დავის დასრულების შემდეგ „მაგთიკომი“ იმოქმედებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**8.14** დაზუსტების მიზნით, „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ წარმოდგენა არ ათავისუფლებს „დაშვების მსურველს“ „მაგთიკომისთვის“ თანხების გადახდის ვალდებულებისგან და არც „მაგთიკომის“ უფლების უარყოფას/შეზღუდვას წარმოადგენს, შეაჩეროს, გათიშოს ან შეუყვიტოს შესაბამისი მომსახურების მიწოდება „მაგთიკომისთვის“ ნებისმიერი ვადამოსული ან გადასახდელი თანხების გადაუხდელობის გამო.

# 9. მუხლი. მომსახურების დაწყების წინაპირობები

**9.1** „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ დააკმაყოფილებს ამ მუხლში მოცემულ ყველა წინაპირობას.

**9.2** „მომსახურების“ მიწოდების დაწყების წინაპირობები:

**9.2.1** „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ წარდგენა „ხელშეკრულების“ მე-8 მუხლით დადგენილი წესით და ოდენობით;

**9.2.2** ერთჯერადი საფასურის, მათ შორის ინსტალაციის (იმპლემენტაციის) /დაშვების საფასურის გადახდა, „ხელშეკრულების“ დანართით დადგენილი წესით და ოდენობით (თუ „მხარეები“ შეთანხმდნენ ერთჯერადი საფასურის ნაწილ-ნაწილ გადახდაზე, „ხელშეკრულების“ დანართით დადგენილი წესით და ოდენობით ნაწილის გადახდა);

**9.2.3** „კომპანიის“ მიერ „საკუთარი“ აბონენტებისთვის „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების“ მიწოდების დაწყებიდან 12 თვის პერიოდზე პროგნოზის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;

**9.2.4** დანართში მოცემული ყველა ტექნიკური სამუშაოს შესრულება და ტესტირების წარმატებით დასრულება;

**9.2.5** „კომპანიის" წერილობითი დასტური, რომ „კომპანიის" მხრიდან შესრულებულია ყველა ტექნიკური სამუშაო და „კომპანია" მზად დაიწყოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება საკუთარი „აბონენტებისთვის".

**9.3** დანართით გათვალისწინებული ყველა ტექნიკური სამუშაოს შესრულების და ტესტირების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, „მხარეები" მომდევნო 30 დღის შეთანხმდებიან განმავლობაში „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურების დაწყების თარიღზე.

**9.4** „კომპანია" ვალდებულია „მაგთიკომის" მხრიდან „მომსახურების" მიწოდების დაწყების მზადყოფნის დადასტურებიდან 30 დღის ვადაში დააკმაყოფილოს ამ მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა, სხვა შემთხვევაში ჩაითვლება, რომ „კომპანიას" არ სურს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მომსახურების" მიღება და „მაგთიკომი" უფლებამოსილია დაიწყოს „ხელშეკრულების" შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით. „დაშვების მსურველმა" არ უნდა გახადოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება ხელმისაწვდომი მისი ბოლო მომხმარებლებისათვის მხარეთა მიერ შეთანხმებულ თარიღამდე.

## 10. მუხლი. „მომსახურების" საფასური და ანგარიშსწორება

**10.1** „ხელშეკრულების" თანახმად, მიწოდებულ „მომსახურებებზე" მოქმედი ფასები არის ის ფასები, რომლებიც მოცემულია დანართში და რომელშიც „მაგთიკომმა" ცვლილებები პერიოდულად შეიძლება შეიტანოს „ხელშეკრულებით" დადგენილი წესით.

**10.2** თუ რომელიმე მომსახურებაზე საფასური არ არის მითითებული „ხელშეკრულებაში" ან „დანართებში", გავრცელდება „მხარეთა" მიერ შეთანხმებული საფასური. გარდა იმ შემთხვევისა, როცა სპეციალური ფასის ვადა განსაზღვრულია კონკრეტულ „დანართში," სპეციალურ ფასებს „მაგთიკომი" „დაშვების მსურველს" წარუდგენს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს სამოცი (60) სამუშაო დღისა ამგვარ ინფორმაციაზე „დაშვების მსურველის" მოთხოვნიდან. იგულისხმება, რომ სპეციალური ფასების ნებისმიერი ამგვარი მოთხოვნა არ განიმარტება ისე, თითქოს ის „დაშვების მსურველს" ავალდებულებდეს მოითხოვოს ის შესაბამისი მომსახურება, რომელთანაც დაკავშირებულია ასეთი „სპეციალური ფასები".

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**10.3** „მომსახურების" საფასური შედგება „მომსახურების" ყოველთვიური საფასურის, მხარდაჭერის, ინსტალაციის საფასურისაგან და დანართით გათვალისწინებული სხვა საფასურისაგან.

**10.4** ნებისმიერი მომსახურების ინსტალაციის, ინფრასრტრუქტურაზე დაშვების ან ინტეგრაციის საფასური „კომპანიამ" უნდა გადაიხადოს წინასწარ ან „მხარეთა" შორის შეთანხმებული გრაფიკით.

**10.5** „კომპანია" ვალდებულია გადაიხადოს „მომსახურების" საფასური და ინსტალაციის საფასურის შესაბამისი ნაწილი (თუ „მხარეები" შეთანხმდნენ საფასურის გადახდის გადანაწილებაზე) დანართში მითითებულ ვადაში. „ხელშეკრულებაში" მითითებული მომსახურების საფასური არ შეიცავს გადასახადებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს უშუალოდ არის მითითებული. თუმცა, ყველა გადასახადი კანონმდებლობის შესაბამისად ასახული იქნება გამოწერილ ინვოისებში/ანგარიშ-ფაქტურებში.

**10.6** „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურების საფასური ექვემდებარება ფასების ინდექსაციას. „მაგთიკომი" და „კომპანია" კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ ფასების ინდექსაციის გონივრულ მექანიზმზე.

**10.7** „დაშვების მსურველი" ვალდებულია აწარმოოს ანგარიშსწორება „ხელშეკრულებით"/„დანართით" გათვალისწინებული წესით და ვადაში. თუ დანართით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული, „დაშვების მსურველმა" მომსახურების ყოველთვიური ანგრიშსწორება უნდა განახორციელოს არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.

**10.8** „ხელშეკრულების" ან მის ფარგლებში გათვალისწინებული ნებისმიერი „მომსახურების" შეწყვეტისას, „ხელშეკრულებასთან" ან შეწყვეტილ მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახდელი ყველა თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გახდება დაუყოვნებლივ გადასახდელი, გარდა თანხისა, რომელზეც არ იყო გამოწერილი შესაბამისი ინვოისი „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე, ასეთი თანხა გადასახდელი იქნება შესაბამისი ინვოისის მიღებისთანავე.

**10.9** უცხო ქვეყნების ქსელის გამოყენებისთვის უცხოურ ვალუტაში გამოწერილი ინვოისებზე ანგარიშსწორება მოხდება გამოწერილ ვალუტაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვანაირად არის შეთანხმებული.

10.10 პირგასამტეხლოს/საურავის დარიცხვისას „მაგთიკომს“ უფლება აქვს ვადამოსული დარიცხული საურავი/პირგასამტეხლო შეიტანოს უახლოეს გამოსაწერ ინვოისში.

10.11 თუ ინვოისში/ანგარიშ-ფაქტურაში აღმოჩენილი იქნება შეცდომა, შესაბამისი კორექტირება, დარიცხული საურავის/პირგასამტეხლოს არსებობის შემთხვევაშიც, განხორციელდება შემდგომი უახლოესი პერიოდის ინვოისში/ანგარიშ-ფაქტურაში.

10.12 10.7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დადგომიდან, „კომპანიის“ მხრიდან სრულად ანგარიშსწორების ვადის 10 დღით დაგვიანების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეუჩეროს „კომპანიას“ „მომსახურების“ მიწოდება.

10.13 10.12 პუნქტით „მომსახურების“ მიწოდების შეზღუდვისას, მისი მიწოდება აღდგება „კომპანიის“ მხრიდან მომდევნო 15 დღის ვადაში დავალიანების და პირგასამტეხლოს სრულად გადახდის შემთხვევაში. თუ ამ ვადაში „კომპანიის“ მიერ სრულად არ იქნება დაფარული დავალიანება „მაგთიკომი“ უფლებამოსილია აღარ აღადგინოს „მომსახურების“ მიწოდება და წამოიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

## 11. მუხლი. „მომსახურების“ აღრიცხვა

11.1 „კომპანიის“ მიერ მიღებული ხმოვანი ზარების „მომსახურება“ აღირიცხება მოხმარებული წამების რაოდენობის შესაბამისად.

11.2 „კომპანიის“ მიერ მიღებული ინტერნეტ „მომსახურების“ აღირიცხება მოხმარებული მეგაბაიტების შესაბამისად.

11.3 „კომპანიის“ მიერ მიღებული მოკლე ტექსტური შეყტობინებების „მომსახურება“ აღირიცხება მოხმარებული 1 ერთული მოკლე ტექსტური შეტყობინების რაოდენობის შესაბამისად.

11.4 მომსახურების აღრიცხვა განხორციელდება „მაგთიკომის“ საბილინგო სისტემის მეშვეობით და მისი მეშვეობით განხორციელდება გაწეული მომსახურების საფასურის დაანგარიშება. „კომპანია“ ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური „მაგთიკომის“ საბილინგო მონაცემებზე დარდნობით.

**11.5** გასული თვის განმავლობაში „კომპანიის“ მიერ მოხმარებული ტრაფიკის შესახებ ინფორმაციას („ბილინგის მონაცემები“) „მაგთიკომი“ მიაწვდის „კომპანიას“ თვის დასრულებიდან ---- დღის ვადაში.

**11.6** თუ „კომპანია“ არ ეთანხმება დარიცხულ საფასურს, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს „მაგთიკომს“ დასაბუთებული მოთხოვნა პრეტენზია, რომელიც განიხილება 31-ე მუხლით დადგენილი წესით.

## 12. მუხლი. „მომსახურების“ გააქტიურების/შეწყვეტის ვადები და პირობები

**12.1** „ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში „კომპანიის“ მოთხოვნას „მომსახურების“ გააქტიურებაზე, მოცულობის გაზრდაზე ან შეწყვეტაზე „მაგთიკომი“ განიხილავს მოთხოვნიდან 30 დღის განმავლობაში.

**12.2** „კომპანიის“ მოთხოვნა უნდა საკმარისად დეტალური და წარმოდგენილი უნდა იყოს დანართში მითითებული ფორმით. თუ კონკრეტული მომსახურების მოთხოვნის ფორმა არ არის დადგენილი, „კომპანიამ“ უნდა აცნობოს „მაგთიკომს“ მისი განზრახვა წერილობითი ფორმით (მოთხოვნა სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მოთხოვნის თარიღი, მოთხოვნის ტიპი, მოთხოვნილი მომსახურება, გააქტიურების სასურველი თარიღი, წარმომადგენლის მონაცემები, საჭიროების შემთხვევაში აპარატურის მონტაჟის დრო და პირობები).

**12.3** „კომპანია“ ვალდებულია მიაწოდოს „მაგთიკომს“ ასეთი მოთხოვნის განხილვისთვის საჭირო და „მაგთიკომის“ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. საჭიროების შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებული იქნება განახორციელოს შემხვედრი ვალდებულებები მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (მათ შორის, მოთხოვნის შესაბამისად „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ გაზრდა, საინსტალაციო სამუშაოების განხორციელება და ა. შ.).

**12.4** „მაგთიკომი“ 12.1 პუნქტით წარმოდგენილ მოთხოვნის თანახმად,

12.5 „მხარეები" 12.1 პუნქტით წარმოდგენილ მოთხოვნის თანახმად, მომდევნო 30 დღის განმავლობაში კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ „მომსახურების" გააქტიურების პირობებზე, მათ შორის შესრულების და მიწოდების ვადებზე.

12.6 „მომსახურების" გააქტიურების თაობაზე წარმოშობილი გაუთვალისწინებელი შეფერხების წარმოშობის შემთხვევაში „მხარეები" კეთილსინდისიერად მოილაპარაკებენ ვადების ან/და პირობების დაკორექტირებაზე.

12.7 „მომსახურების" გააქტიურების/მოცულობის გაზრდის თაობაზე შეთანხმების მიღწევის შემდგომ, „მხარეები" მისი შინაარსიდან გამომდინარე ცვლილებებს შეიტანენ „ხელშეკრულებაში" ან გააფორმებენ დამატებით შეთანხმებას.

12.8 კონკრეტული „მომსახურების" მიწოდება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ „მაგთიკომი" წყვეტს კონკრეტული „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას" საკუთარი „აბონენტებისთვის" ან წყვეტს კონკრეტულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული „მომსახურების" მიწოდებას. რა შემთხვევაშიც, „მაგთიკომი" შეატყობინებს „კომპანიას" არანაკლებ 60 დღით ადრე.

12.9 ტექნოლოგიის სრულად გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, „მაგთიკომის" არანაკლებ 90 დღით ადრე შეატყობინებს „კომპანიას" და გონივრულ ვადაში წარუდგენს გაუქმების გეგმას.

## 13. მუხლი. „მაგთიკომის" ქსელის გამოყენება და დაშვების პირობები

13.1. „კომპანია" მიიღებს ყველა ზომას, რათა შეინარჩუნოს და დაიცვას „მაგთიკომის" ქსელის სტანდარტები.

13.2. „დაშვების მსურველი" ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ „ხელშეკრულების" მიხედვით „მომსახურებების" გამოყენებამ ზიანი არ მიაყენოს, ხელი არ შეუშალოს და არ შეაფერხოს „მაგთიკომის" ქსელი და იმ მომსახურებებიდან რომელიმე, რომლებიც „მაგთიკომის" იმ ინფრასტრუქტურაში მიეწოდება.

**13.3.** „კომპანია“ იღებს ვალდებულებას, რომ მისი მოწყობილობა და აპარატურა/პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება მისი „კომპანიის“ ან მისი „ბოლო მომხმარებლებისთვის“ მომსახურების მიწოდებისთვის თავსებადი იქნება „მაგთიკომის“ მოწყობილობა/ქსელთან და არ დააზიანებს ან სხვაგვარად არ შეაფერხებს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას.

**13.4.** „კომპანია“ იღებს ვალდებულებას, რომ არ დააერთებს ან დართავს ნებას დააერთოს თავის ქსელზე ნებისმიერ სახის ტექნიკა ან დანადგარი (აპარატურა), რომელიც არ აკმაყოფილებს სტანდარტებს, არ არის წარმოებულის ავტორიზებული მწარმოებლის მიერ, მოდიფიცირებულია/გადაკეთებულია არა მწარმოებლის მიერ, არ არის ნებადართული კანონით ან კანონთან დაკავშირებული რეგულაციით.

**13.5.** „კომპანია“ პასუხისმგებელია თავისი ქსელის უსაფრთხო ოპერირებაზე და მიიღებს ყველა საჭირო ზომას აშნიღნული „ხელშეკრულების“ ფარგლებში, რომ მისმა ქსელმა/აპარტურამ/პროგრამულმა უზრუნველყოფამ:

**13.5.1.** საფრთხე არ შეუქმნას თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, კონტრაქტორებს, აგენტებს, „აბონენტებს“ და საზოგადოებას;
**13.5.2.** არ დააზიანოს, არ შეუქმნას ხელისშეშლა, არ გააუარესოს „მაგთიკომის“ ქსელი/აპარატურა.

**13.6.** „კომპანია“ ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხოებას მის კუთვნილ მოწყობილობებზე/პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

**13.7.** „კომპანია“ ვალდებულია ქსელთან დაშვებას გამოიყენოს მხოლოდ იმ მიზნებით და იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებული და დაშვებულია „ხელშეკრულებით“.

**13.8.** „მაგთიკომის“ ქსელზე „კომპანიის“ მხრიდან ხელშეშლის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, „კომპანიამ“ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები მის აღსაკვეთად. თუ სხვა საშუალებით საფრთხის თავიდან არიდება შეუძლებელია და მოითხოვს მყისიერ რეაგირებას „მაგთიკომი“ იტოვებს უფლებას სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდოს „მომსახურების“ მიწოდება „კომპანიისთვის“ წინასწარი შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში „კომპანიის“ ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

**13.9.** „ხელშეკრულების“ საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „მაგთიკომი“ უფლებას მისცემს „კომპანიას“ განათავსოს მისი აპარატურა „მაგთიკომის“

სარგებლობაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, თანალოკაციის მომსახურების ფარგლებში.

**13.10.** „ხელშეკრულების" საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, „მაგთიკომი" უფლებას მისცემს „კომპანიას" საჭიროების შემთხვევაში მისცეს „კომპანიის" წარმომადგენლებს „მაგთიკომის" ინფრასტრუქტურასთან ფიზიკური დაშვების უფლება.

**13.11.** „დაშვების მსურველი" ვალდებულია გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმიერება და წინდახედულობა იმ პირთა შერჩევისას, რომელთაც ჩართული იქნებიან „ხელშეკრულების" პროცესში, მათ შორის ექნებათ ინფრასტრუქტურასთან დაშვების უფლება. ასეთ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, მათ შორის გავლილი უნდა ჰქონდეთ ყველა საჭირო სწავლება/ტრეინინგი, მათ შორის შრომის უსაფთხოების/ინფორმაციული უსაფრთხოების ნაწილში. ამასთან, „მაგთიკომი" უფლებამოსილია მოსთხოვოს პირს სწავლების/ტრეინინგის გავლის სერტიფიკატი.

**13.12.** „დაშვების მსურველი" აცნობიერებს, რომ „დაშვების მსურველის" სპეციალისტის/წარმომადგენლის/კონტრაქტორის ქმედება განხორციელდება „დაშვების მსურველის" პასუხისმგებლობითა და რისკით, შესაბამისად, „დაშვების მსურველი" იქნება სრულად პასუხისმგებელი, როგორც მისი მათ ქმედებებზე, ასევე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, ხოლო „ხელშეკრულების" ან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია" იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს, „მაგთიკომის" ან მესამე პირის წინაშე.

**13.13.** „დაშვების მსურველს" ეკრძალება „მაგთიკომის" ნებართვების გარეშე ინფრასტრუქტურასთან მისვლა და ნებისმიერი ქმედების განხორციელება. „დაშვების მსურველი" ვალდებულია ინფრასტრუქტურასთან დაშვებისას დაიცვას ყველა ტექნიკური, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების, მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა ნორმები და „მაგთიკომის" წარმომადგენლის მითითებები.

**13.14.** „მაგთიკომი" უფლებამოსილია აუკრძალოს დაშვება კონკრეტულ ფიზიკურ პირ(ებ)ს, რომელიც  დაარღვევს ნებართვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ შეასრულებს „მაგთიკომის" წარმომადგენლის მითითებებს.

**13.15.** „მაგთიკომი" უფლებას იტოვებს შეცვალოს ან დამატებით შეიმუშაოს ინფრასტრუქტურასთან დაშვების, შრომის და ინფორმაციული უსაფრთხოების

პირობები/სახელმძღვანელო. ასეთ შემთხვევაში, „მაგთიკომი“ წერილობით შეატყობინებს „დაშვების მსურველს“ ასეთი წესების ძალაში შესვლის თაობაზე და იგი სავალდებულო იქნება „დაშვების მსურველის“ მხრიდან შესასრულებლად.

**13.16.** „დაშვების მსურველი“ იქნება პასუხისმგებელი შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების (როგორც კანონმდებლობით ასევე „მაგთიკომის“ მიერ დადგენილი წესების) დაცვაზე, ხოლო „ხელშეკრულების“ ან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში „დაშვების მსურველი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს, „მაგთიკომის“ ან ნებისმიერი სხვა პირის წინაშე.

**13.17.** თუ დანართით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, „მაგთიკომის“ ინფრასტრუქტურაზე „აპარატურის“ განთავსება (ინსტალაცია) უნდა განხორციელდეს „კომპანიის“ შესაბამისი სპეციალისტების მიერ, „კომპანიის“ რესურსით და ხარჯით.

**13.18.** თუ დანართით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ფიზიკური დაშვების საფასური „კომპანიამ“ უნდა გადაიხადოს წინასწარ, გარდა 13.31 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

**13.19.** „მაგთიკომის“ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე „აპარატურის“ განთავსება შესაძლებელი განხორციელდეს მხოლოდ „მაგთიკომის“ მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, ნებართვაში და „ხელშეკრულებაში“ მოცემული პირობების დაცვით.

**13.20.** კონკრეტულ წერტილზე აპარატურის განთავსების პირობების შეთანხმებიდან 30 დღის ვადაში, „კომპანია“ მიიღებს ნებართვას დაშვების ნებართვას, სადაც მითითებული იქნება სამუშაოების განხორციელების თარიღი და სხვა სპეციფიკური პირობები.

**13.21.** საჭიროების შემთხვევაში, „კომპანია“ ვალდებულია თავად მოიპოვოს ნებართვა ნებისმიერი მესამე პირისაგან (მათ შორის, ადმინისტრაციული/მუნიციპალური, სხვა შესაბამისი ორგანოებისაგან, კერძო პირებისაგან).

**13.22.** „კომპანია“ ვალდებულია „აპარატურის“ მონტაჟის შემდგომ, დაასურათოს განთავსებული აპარატურა და ელ. ფოსტის საშუალებით მიაწოდოს „მაგთიკომს“.

**13.23.** ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები გამოიყენება „ხელშეკრულების“ მოქმედების განმავლობაში „აპარატურის“ ახალი განთავსების წერტილზე ინსტალაციის ან უკვე განთავსებული „აპარატურის“ ცვლილების შემთხვევაშიც.

**13.24.** „კომპანიის" წარმომადგენლების ინფრასტრუქტურასთან ფიზიკური დაშვების წესები მოცემულია დანართში.

**13.25.** ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების ნებისმიერი სახის დარღვევა წარმოადგენს „ხელშეკრულების" პირობების უხეშ დარღვევას. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია" შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომისთვის" ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

## 14. მუხლი. საკუთარი სახელით საქმიანობა

**14.1.** „კომპანიამ", როგორც საერთო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორმა, საკუთარ „აბონენტებს" სერვისი უნდა მიაწოდოს საკუთარი სახელით და დამოუკიდებლად აგებს პასუხს მასზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და მის მიერ განსახორციელებელ/ განხორციელებულ ქმედებებზე, „აბონენტების" და ნებისმიერი მესამე პირების (საჯარო თუ კერძო) წინაშე.

**14.2.** „კომპანიამ" საკუთარი აბონენტებს მკაფიოდ და არაორაზროვნად უნდა განუმარტოს, რომ მხოლოდ „კომპანია" იქნება პასუხისმგებელი მისი „აბონენტისთვის" მიწოდებულ ყველა სერვისზე, ბილინგზე, მონაცემების შეგროვებაზე, მხარდაჭერაზე, „აბონენტთან" გაფორმებული სერვისის მიწოდების ხელშეკრულებით და „კანონმდებლობით" გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების/ვალდებულებების შესასრულებლად.

**14.3.** არცერთ „მხარეს" აქვს უფლება პირდაპირ, უმოქმედობით თუ ირიბად განაცხადოს, რომ:

**14.3.1.** ის უფლებამოსილია მეორე „მხარის" მიერ ან წარმოადგენს მეორე „მხარის" წარმომადგენელს ან აფილირებულ პირს;
**14.3.2.** მას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს მეორე „მხარესთან"; ან
**14.3.3.** მის მიერ „ბოლო მომხმარებლებისთვის" მიწოდებული მომსახურება არის მეორე „მხარის" მომსახურება.

**14.4.** „მაგთიკომის" პასუხისმგებლობა შემოიფარგლება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მომსახურების" მიწოდებაზე, „ხელშეკრულებით"

გათვალისწინებული პირობების, მათ შორის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით.

**14.5.** „კომპანია“ საკუთარ ბიზნესს აწარმოებს საკუთარი რისკით, ინვესტიციით და პასუხისმგებლობით. იმ შემთხვევაში, თუ მისი ბიზნესგეგმა და მოლოდინი ნებისმიერი მიზეზით არ გამართლდება, „კომპანია“ არც ერთ შემთხვევაში არ თავისუფლდება „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან, მათ ღოსი „მაგთიკომისთვის“ „მომსახურების“ და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა საფასურის გადახდისაგან.

**14.6.** „კომპანიას“ ეკრძალება:

**14.6.1.** გამოიყენოს „მაგთიკომის“ სავაჭრო ნიშნები, განმასხვავებელი ნიშნები და სხვა სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრება მარკეტინგის ან სერვისის პოპულარიზაციისთვის;

**14.6.2.** გამოიყენოს „მაგთიკომის“ სასაქონლო ნიშნები, განმასხვავებელი ნიშნები და სხვა სამრეწველო ან ინტელექტუალური საკუთრება საკუთარი „აბონენტებისთვის“ სერვისის მიმწოდებლის იდენტურობის აღრევის მიზნით;

**14.6.3.** განახორციელოს ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც შეცდომაში შეიყვანს ან დააბნევს „კომპანიის“ „აბონენტს“ სერვისის მიმწოდებლის ვინაობასთან ან სერვისის მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთან დაკავშირებით.

## 15. მუხლი. მარკეტინგი და რეკლამა

**15.1.** „კომპანია“ აცნობიერებს, რომ თავად იქნება პასუხისმგებელი მის მიერ შეთავაზებული პროდუქტების/სერვისების რეკლამირებაზე, მარკეტინგზე, პოპულარიზაციაზე და გაყიდვებზე.

**15.2.** არცერთი „მხარე“ არ მოახდენს ანონს, რეკლამას, საჯარო განცხადებას, ნებისმიერი სახის მარკეტინგულ აქტივობას ან „კომპანიის“ მიერ სერვისის მიწოდების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებას, სანამ „მხარეები“ არ შეთანხმდებიან „კომპანიის“ მიერ საკუთარი „აბონენტებისთვის“ სერვისის მიწოდების დაწყების თარიღზე.

**15.3.** ნებისმიერი მარკეტინგული აქტივობა (რეკლამა, ანონსი, საჯარო განცხადება და ა. შ.), სადაც შესაძლებელია გაჟღერდეს „მაგთიკომის“ სახელი, სავაჭრო ნიშანი, ლოგო ან

ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც „მაგთიკომთან“ ასოცირების შთაბეჭდილებას შექმნის, „კომპანიამ“ წინასწარ უნდა შეათანხმოს „მაგთიკომთან“ და მიიღოს წერილობითი თანხმობა.

**15.4.** ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

## 16. მუხლი. აბონენტები/ბოლო მომხმარებლები

**16.1.** „კომპანია“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ საფუძველზე მიღებული „მომსახურება“ მიაწოდოს მხოლოდ „ბოლო მომხმარებელს“. შესაბამისად, „კომპანიის“ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას წარმოადგენს „მომხმარებელთან“ გასაფორმებელი სერვისის მიწოდების ხელშეკრულების პროცესის ორგანიზება და მისი „კანონმდებლობასთან“ შესაბამისობა.

**16.2.** „დაშვების მსურველი“ ვალდებულია, „მაგთიკომისგან“ დამოუკიდებლად, მართოს თავის „ბოლო მომხმარებლებთან“ ურთიერთობის ყველა ასპექტი და სრულად პასუხისმგებელი იქნება „ბოლო მომხმარებლების“ ყველა მოთხოვნაზე, მათ შორის და არა მხოლოდ, პროდუქტებისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნებზე, გაუმართაობის შეტყობინებებზე/გამოსწორებაზე, და ტექნიკურ პრობლემებსა და ანგარიშსწორებაზე, საინფორმაციო უზრუნველყოფაზე. გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „მაგთიკომი“ არ არის ვალდებული უპასუხოს „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლების“ შეკითხვებს ან/და მოაგვაროს მათი მომსახურებისა თუ ტექნიკური მხარდაჭერის საკითხები.

**16.3.** „მხარე,“ რომელსაც „ბოლო მომხმარებელთან“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებაზე:

**16.3.1.** პასუხისმგებელია მოაგვაროს და გადაწყვიტოს აღნიშნულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებებთან დაკავშირებით ამ „ბოლო მომხმარებლის“ მიერ წარდგენილი ყველა საჩივარი და კითხვა, მათ შორის, დარიცხვასთან დაკავშირებული ყველა საჩივარი და კითხვა, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე „ხელშეკრულებიდან;“ და

**16.3.2.** აღნიშნულმა „მხარემ“ ეს „ბოლო მომხმარებლები“ არ უნდა გადაამისამართოს მეორე „მხარეზე“ მათ მიერ წარმოდგენილი საკითხების მოსაგვარებლად.

**16.4.** „დაშვების მსურველმა“ თავის პერსონალს, კონტრაქტორებს, აგენტებსა და დასაქმებულებს უნდა მისცეს მითითება თავი შეიკავონ „მაგთიკომის“ საჯარო კრიტიკისგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას (ან შეიძლება წარმოიშვა) წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედებიდან.

**16.5.** „კომპანია“ ვალდებულია მოახდინოს ყველა საკუთარი „აბონენტის“ იდენტიფიცირება და გაუფორმოს სერვისის მიწოდების ხელშეკრულება „კანონმდებლობით“ დადგენილი წესით.

**16.6.** „კომპანიას“ ეკრძალება გაუწიოს მომსახურება ისეთ პირს, რომელთანაც არ ექნება გაფორმებული ხელშეკრულება „კანონმდებლობით“ დადგენილი წესით.

**16.7.** „კომპანიის“ მიერ საკუთარი „აბონენტისთვის“ მიწოდებული სერვისის სახეობა დამოკიდებულია თუ რა „ძირითადი მომსახურებას“ და „დამატებითი მომსახურებას“ შეიძენს „კომპანია“ „მაგთიკომისაგან“.

**16.8.** „კომპანია“ აცნობიერებს, რომ საკუთარი „აბონენტის“ წინაშე თავად იქნება პასუხისმგებელი მიწოდებული სერვისის სახეობაზე, ვადებზე, კომპენსაციაზე, შეტყობინების გაგზავნაზე და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც ეკისრება საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ პირს.

**16.9.** „კომპანია“ ვალდებულია გარდა „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სავალდებულო პირობებისა, „აბონენტთან“ გაფორმებულ სერვისის მიწოდების ხელშეკრულებაში ასახოს პირობები, რომელიც:

**16.9.1.** ეხება „მაგთიკომის“ მიერ „კომპანიის“ „აბონენტების“ პერსონალური მონაცემების დამუშავებას, როგორც ეს მოთხოვნილის მე-17 მუხლით და „ხელშეკრულების“ დანართით;

**16.9.2.** პირობები, რომელიც არეგულირებს „აბონენტების“ მხრიდან სერვისის კეთილსინდისიერი სარგებლობის პოლიტიკას და მისი დარღვევისას რეაგირების მექანიზმებს, რომელიც სულ მცირე უნდა აკმაყოფილებდეს „მაგთიკომის“ მიერ საკუთარი „აბონენტებისთვის“ დადგენილ სტანდარტებს;

16.9.3. პირობები, რომელიც „აბონენტებს“ გააფრთხილებს, რომ სერვისის მიღებისთვის უნდა გამოიყენონ მხოლოდ სერტიფიცირებული მოწყობილობები.

16.10. „მაგთიკომი“ ელექტრონულად, „მხარეთა“ მიერ შეთანხმებული ფორმით მიაწვდის „კომპანიას“ რეალურ დროში გამოყენების ურთიერთშეთანხმებულ „ბილინგის მონაცემებს“, რომლებიც საჭიროა, „კომპანიის“ მხრიდან სერვისის აღრიცხვის, საფასურის დარიცხვის და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად.

16.11. „მხარეები“ ასევე თანხმდებიან და აღიარებენ, რომ გამოიყენება „აბონენტებთან“ ურთიერთობის შემდეგი პრინციპები:

16.11.1. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს ორივე მხარის და სხვა მომსახურების მიმწოდებელის ოპერატორის აბონენტიც;

16.11.2. „მაგთიკომის“ მიერ „დაშვების მსურველისთვის“ მომსახურების მიწოდება, რომელსაც ეს უკანასკნელი იყენებს საკუთარი „აბონენტისთვის“ სერვისი მისაწოდებლად, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი „აბონენტი“ არის „მაგთიკომის“ აბონენტი.

16.12. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „დაშვების მსურველი“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

## 17. მუხლი. პერსონალური მონაცემები

17.1. „კომპანია“ აცნობიერებს, რომ თავად იქნება პასუხისმგებელი მის მიერ „აბონენტების“ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მოპოვებაზე, დამუშავების ფარგლებზე, მიზნებზე, კანონიერებაზე და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულებაზე.

17.2. „კომპანია“ ვალდებულია შეიმუშაოს პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, გამოაქვეყნოს ვებგვერდზე, რომელსაც „კომპანიის“ „აბონენტი“ უნდა დაეთანხმოს სერვისის მიწოდებაზე ხელშეკრულების გაფორმებისას.

17.3. „კომპანია“ ვალდებულია წინასწარ მიიღოს თანხმობა საკუთარი „აბონენტისაგან“ „კომპანიის“ მათი მონაცემების „მაგთიკომის“ მიერ დამუშავებაზე, როგორც ეს განმარტებულია „ხელშეკრულების“ დანართით („მონაცემთა დამუშავებაზე შეთანხმება“). ასეთი თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს /აღარ გაუწიოს „მომსახურების“ მიწოდება.

17.4. „დაშვების მსურველი“ ვალდებულია შეასრულოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის, მხარეთა შორის გაფორმებული - „მონაცემთა დამუშავებაზე შეთანხმების“ პირობები.

17.5. „მაგთიკომი“ ვალდებულია „დაშვების მსურველის“ „ბოლო მომხმარებლების“ პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ „ხელშეკრულებით“ და კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მიზნით და მის ფარგლებში.

17.6. „დაშვების მსურველი“ ვალდებულია განუმარტოს და თანხმობა მიიღოს, მისი წარმომადგენლებისაგან (დასაქმებულებისაგან, კონტრაქტორებისაგან), რომლებიც ჩართული იქნებიან „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში, „მაგთიკომის“ მიერ „ხელშეკრულების“ მიზნებიდან გამომდინარე მათი პერსონალური მონაცემების, მათ შორის ვიდეომონიტორინგის მონაცემების დამუშავებაზე (ინფრასტრუქტურასთან არსებული ვიდეომონიტორინგის ფარგლებში). ამ პუნქტით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემები ინახება არაუმეტეს „ხელშეკრულების“ შეწყვეტიდან 3 წლის ვადით.

## 18. მუხლი. ინფორმაციული უსაფრთხოება

18.1. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ დაიცავენ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ „კანონმდებლობით“ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნებს და რეკომენდაციებს.

18.2. „კომპანია“ ადასტურებს, რომ ფლობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მექანიზმებს თაღლითური შემთხვევების და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციის, გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირებისათვის (ITU-T x.805 სტანდარტის და მისი დანართს ITU-T X.805 – Supplement on security guidelines for mobile virtual network operators” და GSMA –ს FS.19 და FS.11 რეკომენდაციების შესაბამისად).

**18.3.** მოთხოვნის შემთხვევაში, „კომპანია" უზრუნველყოფს „მაგთიკომის" მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობის შეფასებისათვის შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

**18.4.** „კომპანია" ვალდებულია დაიცვას „მაგთიკომის" ინფორმაციულ აქტივებზე წვდომისათვის წინასწარ შეთანხმებული წესები.

**18.5.** ნებისმიერი საფრთხის არსებობის ან/და ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში „კომპანია" ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს „მაგთიკომს" და მიაწოდოს ინციდენტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

**18.6.** „კომპანიას" ეკისრება პასუხისმგებლობა „მაგთიკომის" ინფორმაციულ აქტივებზე წვდომისას განხორციელებული ნებისმიერი მოქმედებისათვის/აქტივობისათვის. გარდა ამისა, თუ „კომპანია" დაარღვევს „მაგთიკომის" ინფორმაციულ აქტივებზე წვდომის წესებს, ამ უკანასკნელს უფლება ექნება მოითხოვოს ზიანის (როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირის) ანაზღაურება.

## 19. მუხლი. თაღლითობის გამოვლენა (ფროდის) და რეაგირება

**19.1.** „კომპანია" ვალდებულია დააინსტალიროს/დააყენოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც შეძლებენ საკომუნიკაციო მომსახურებისას თაღლითური შემთხვევების და კიბერშეტევების ეფექტურად პრევენციას, გამოვლენას და მათზე რეაგირებას.

**19.2.** „კომპანია" იღებს ვალდებულებას, რომ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მომსახურება" არ იქნება გამოყენებული სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, თაღლითური ქმედების (ფროდი) გავრცელება-განხორციელებისთვის, A ნომრის თვითნებური ცვლილებისთვის და/ან სხვა არაკანონიერი მიზნისთვის.

**19.3.** „კომპანია" იღებს ვალდებულებას, რომ დაიცავს საკუთარი ქსელის ინტეგრაციას და უსაფრთხოებას, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დანერგავს მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს „ხელშეკრულების" გათვალისწინებული

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

მომსახურების ფარგლებში თაღლითური ქმედების ("ფროდი") ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას.

**19.4.** „კომპანია" ვალდებულია:

**19.4.1.** არ გამოიყენოს „მომსახურება" ან არ მისცეს რომელიმე „აბონენტს" ან სხვა მესამე პირს ისარგებლოს „კომპანიის" შეთავაზებული სერვისით ამორალური, უხამსი, საზიანო ან უკანონო მიზნით;

**19.4.2.** არ დაუშვას რომელიმე „აბონენტის" ან სხვა მესამე პირის დაკავშირება „მაგთიკომის" ქსელთან ნებისმიერი მოწყობილობით (იქნება ეს ტელეფონი, USIM ან სხვა მოწყობილობა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი მოწყობილობა შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტებს;

**19.4.3.** მინიმუმ 10 დღით ადრე მიაწოდოს „მაგთიკომს" ინფორმაცია ყველა დაგეგმილი UE (საბონენტო აპარატურა)/CPE-ის („აბონენტის" ტერიტორიაზე განთავსებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა) შესახებ, სანამ „კომპანია" ხელმისაწვდომს გახდის ამ მოწყობილობას კომერციულად;

**19.4.4.** არ დააკავშიროს ან არ დაუშვას, რომ რომელიმე „აბონენტმა" ან სხვა მესამე პირმა მოახდინოს SIM ბარათების დუბლირება (ერთი და იგივე IMSI-ით) ან მანიპულირება SIM ბარათებზე როუმინგული თაღლითობის, მაღალფასიანი პრემიუმ მიმართულებების მომსახურების ბოროტად გამოყენების, SMS სპამის/გაყალბების, ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული, აბონენტის იდენტიფიცირების გაყალბების ან მსგავსი თაღლითობის გამოყენების გზით;

**19.4.5.** არ დაუშვას, რომ რომელიმე „აბონენტი" ან სხვა მესამე პირი დაუკავშირდეს ან გააგრძელოს ნებისმიერი მოწყობილობის დაკავშირება, რომელიც საშუალებას იძლევა ურთიერთჩართვის საფასურის გვერდის ავლით განახორციელოს ზარები (GSM Gateway/სიმ ბოქსი) „მაგთიკომის" ქსელში;

**19.4.6.** მონიტორინგი გაუწიოს იმ აქტივობებს, რაც მოიცავს თაღლითობას, ხელოვნურად გაზრდილ ტრაფიკს და უსაფრთხოების ნებისმიერ სხვა დარღვევას, რომელიც დაკავშირებულია „მაგთიკომის" ქსელის გამოყენებასთან, მათ შორის, ნებისმიერი წვდომის უნებართვო გამოყენებასთან;

**19.4.7.** დაიცვას უსაფრთხოების ნებისმიერი მოთხოვნები, რაც უკავშირდება „მაგთიკომის" ქსელთან და სისტემებთან წვდომას და შეასრულოს „მაგთიკომის" მიერ გაცემული ყველა ინსტრუქცია/მითითება საბითუმო წვდომის მომსახურებების გამოყენებასთან დაკავშირებით;

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**19.4.8.** დანერგოს ყველა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და დააინსტალიროს ის შესაბამისი მოწყობილობები, რომელიც უზრუნველყოფს კიბერუსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად „მაგთიკომის" ქსელის დაცულობას (აღნიშნულ პროგრამულ უზრუნველყოფებსა და მოწყობილობებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისობის სერტიფიკატები და შესაბამისი ლიცენზიები და ტექნიკური მხარდაჭერა);

**19.4.9.** შეასრულოს „მაგთიკომის" მიერ გაცემული ყველა მითითებები, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში აუცილებელია და დაეხმარება მას საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვაში;

**19.4.10.** MVNO მომსახურებისას, არ გამოიყენოს „მაგთიკომისაგან" შეძენილი „მომსახურება" იმ მომსახურებებთან ერთად, რომელიც მან შეიძინა სხვა მობილური ქსელის ოპერატორისგან საქართველოში (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად ურთიერთჩართვის გარდა);

**19.4.11.** არ გამოიყენოს „მაგთიკომის" ქსელი იმგვარად, რომ საშუალება მიეცეს მესამე პირებს მიაწოდოს „მობილური საკომუნიკაციო მომსახურება" „ბოლო მომხმარებლებს";

**19.4.12.** MVNO მომსახურებისას, არ შეეცადოს, რომ გაყიდოს „მომსახურება" ნებისმიერ ისეთ მომხმარებელზე, რომლის საცხოვრებელი ან საქმიანობის ადგილი მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ;

**19.4.13.** არ იმოქმედოს იმგვარად, რაც გავლენას მოახდენს მომსახურების ხარისხზე ან გამოიწვევს სიგნალის დაფარვის შემცირებას „მაგთიკომის" „აბონენტებისთვის" „კომპანიის" „აბონენტებთან" შედარებით;

**19.4.14.** MVNO მომსახურებისას არ მოსთხოვოს საქართველოში შემომავალ როუმერებს (სხვა ქვეყნის მომხმარებლები არაქართული მობილური ოპერატორის მიერ მიწოდებული SIM ბარათით) დაკავშირება „კომპანიის" მომსახურებებთან;

**19.4.15.** არ დააკავშიროს ან შეგნებულად მისცეს უფლება მესამე პირებს დაუკავშირონ რაიმე სახის მოწყობილობა „მაგთიკომის" ქსელს, გარდა „მხარეთა" შორის შეთანხმებული მოწყობილობებისა.

**19.5.** „კომპანიის" მხრიდან სერვისის არაკეთილსინდისიერ სარგებლობად მიიჩნევა ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედება (მათ შორის, თუ ასეთი ქმედება განხორციელდა „კომპანიის" „აბონენტის" მხრიდან):

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**19.5.1.** სერვისის/სიმ-ბარათის გამოყენება საკონტაქტო ცენტრების, ლატარიის, ხმის მიცემის, გათამაშებების, რეკლამის, კონკურსების ორგანიზებისათვის, მარკეტინგის, ტელემარკეტინგის ან სხვაგვარი კომერციული მიზნებით;

**19.5.2.** უჩვეულოდ დიდი ოდენობის შეტყობინების/ზარების განხორციელება დროის მცირე პერიოდში, არასასურველი გზავნილის (spam) გაგზავნა, უჩვეულოდ დიდი ოდენობის ნომრებზე/ადრესატთან, ავტომატურ რეჟიმში ან არასასურველი შეტყობინებების/ზარების განხორციელება, მათ შორის, რაიმე სახის სერვისის თუ პროდუქტის რეკლამირების მიზნით;

**19.5.3.** სერვისის გადაყიდვა ნებისმიერი ფორმით, მესამე პირისათვის სერვისის სარგებლობის უფლების (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) მინიჭება;

**19.5.4.** „კომპანიის" თანხმობის და შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების გარეშე, სააბონენტო ნომრის/მომსახურების აპარატურის სასყიდლიანი ან უსასყიდლო გადაცემა მესამე პირებისთვის;

**19.5.5.** ნებისმიერი შემდეგი მანიპულაცია - ქსელში უნებართვო ჩართვა, ტრაფიკის დამისამართება, ხელოვნურად დიდი მოცულობის ტრაფიკის დაგენერირება, ავტომატური გამოძახება/დარეკვა ან ზარების დასრულება, სააბონენტო ნომრის ჩანაცვლება (A ნომრის ცვლილება), ზარის ტრანზიტი, ზარების უწყვეტი დამისამართება, ზარების განხორციელება სპეციალური მოწყობილობის (მაგალითად ე.წ. სიმ-ბოქსი) საშუალებით, ერთდროული (პარალელური) მრავალჯერადი ზარების განხორციელება, ნომრის/IP მისამართის ცვლილება, სიმ-ბარათის კლონირება, სერვისის აპარატურაში პროგრამული უზრუნველყოფის გადაკეთება/ახლის ჩაწერა, მისი უნებართვო გადატანა სხვა მისამართზე, ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში არასანქცირებული შეღწევა, Dos და DDoS შეტევა;

**19.5.6.** ქსელის გადატვირთვა შეუსაბამოდ მაღალი აქტივობ(ებ)ით, არაავტორიზებული შეთავაზებების გაკეთებით, ასევე ყურადღების მისაქცევი შეტყობინებების დაგზავნით, ნებისმიერი ქმედებით, რომელიც იწვევს შეუსაბამოდ დიდი რაოდენობის გამოხმაურებას/პასუხს (მაგალითად ე.წ. ტროლინგი) და რაც მაგალითად შეიძლება განხორციელდეს ელ. ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, აპლიკაციების და სხვა საშუალებების გამოყენებით;

**19.5.7.** სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური ან მავნე პროგრამების გავრცელება, პერსონალური, საბანკო თუ სხვა სახის ინფორმაციის მოპოვების მცდელობა, მათ შორის და არა მხოლოდ, „ფიშინგი" (Phishing), „სმიშინგი" (Smishing), „სპუფინგი" (spoofing);

**19.5.8.** სერვისის მიღება მესამე პირთა პირადი ცხოვრების ან მათი სიმშვიდის შემლახავი, მუქარის შემცველი, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ან სხვა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩასადენად ან მსგავსი მიზნობრიობით ან რამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს როგორც მესამე პირების ან „მაგთიკომის" დაცულ და მართლზომიერ ინტერესებს/უფლებებს;

**19.5.9.** სერვისის მიღება თაღლითური ან სხვა ნებისმიერი სახის კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის;

**19.5.10.** ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა ან არასანქცირებული წვდომა „მაგთიკომის" ინფრასტრუქტურის რაიმე სახის რესურსებთან, მათ შორის, მონაცემების შეგროვების, შეცვლის, წაშლის ან კოპირების მიზნით.

**19.6.** ამ მუხლში აღწერილი ნებისმიერი ფაქტის დადგომისას, „კომპანია" ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, შეუწყვიტოს ასეთ „აბონენტებს" სერვისის მიწოდება და დაუყოვნებლივ აცნობოს „მაგთიკომს" გამოვლენილი ფაქტის და რეაგირების თაობაზე.

**19.7.** „მაგთიკომი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „კომპანიას" სიმ-ბარათის დაბლოკვა, რომელიც გამოიყენება ამ მუხლში მოცემული აკრძალვების დარღვევით, ხოლო „კომპანია", თავის მხრივ, ვალდებულია დაბლოკოს ასეთი სიმ-ბარათი.

**19.8.** „კომპანია" იქნება პასუხისმგებელი „კომპანიის" „აბონენტის" მხრიდან სერვისის თაღლითურ გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯზე და პროცედურაზე, რის აღმოსაფხვრელად, გასანეიტრალებლად და პრევენციის მიზნით გასწევს „მაგთიკომი".

**19.9.** თუ „მაგთიკომს" ან „კომპანიას" ეჭვი გაუჩნდება „მომსახურებებთან" დაკავშირებულ რაიმე სახის თაღლითობაზე ან ბოროტად გამოყენებაზე, ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს და ითანამშრომლებენ კეთილსინდისიერად და გამოიყენებენ ყველა შესაბამის საშუალებას მყისიერად მოახდინონ იდენტიფიცირება, თავიდან აიცილონ ან აღმოფხვრან თაღლითობა ან „მომსახურების" ბოროტად გამოყენება, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

**19.10.** იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია" არ მოახდენს რეაგირებას თაღლითურ ქმედებებზე, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც „მაგთიკომს" გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი,

„მომსახურება" გამოყენებულია ფროდის მიზნით ან დაკავშირებულია ფროდთან, „მაგთიკომი" იტოვებს უფლებას სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს კონკრეტულ სააბონენტო ნომრებს სერვისის მიღების შესაძლებლობა, „კომპანიისთვის" წინასწარი შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში „კომპანიის" ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

**19.11.** „მაგთიკომი" უფლებამოსილია შეუზღუდოს ან შეუწყვიტოს „კომპანიის" „აბონენტს" სერვისის მიწოდება, თუ „აბონენტი" იყენებს მოწყობილობებს ან სხვა აღჭურვილობას, რომლებიც არის ნაკლის მქონე ან კანონით აკრძალული ან არ შეესაბამება საერთაშორისო ტექნიკურ სტანდარტებს, იწვევს ტექნიკურ პრობლემებს „მაგთიკომის" ქსელში, უნებართვოდ იყენებს მომსახურებას ან შეუძლებელია მისი, როგორც „აბონენტის" იდენტიფიცირება. ასეთ შემთხვევაში, შეზღუდვამდე ანდა შეწყვეტამდე, „მაგთიკომი" აცნობებს „კომპანიას" ამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი წინასწარი შეტყობინება მიზანშეუწონელია, საჭიროა მყისიერი რეაგირება ან გონივრულად შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში „კომპანიის" ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

**19.12.** ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, „კომპანიამ" დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები მის აღსაკვეთად. თუ სხვა საშუალებით საფრთხის თავიდან არიდება შეუძლებელია და მოითხოვს მყისიერ რეაგირებას „მაგთიკომი" იტოვებს უფლებას რისკის პროპორციულად, სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდოს „მომსახურების" მიწოდება „კომპანიისთვის" წინასწარი შეტყობინების გარეშე. ასეთ შემთხვევებში „კომპანიის" ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ ამ ფაქტის შემდგომ, შესაბამისი შესაძლებლობის გაჩენისთანავე.

**19.13.** მიუხედავად იმისა თუ რა მიზეზით და ვისი ბრალეულებით („კომპანიის" თუ მისი „აბონენტის" ან მესამე პირის) განხორციელდა ამ მუხლში ჩამოთვლილი ქმედებები, „კომპანია" შეუზღუდავად აგებს პასუხს (ფორს-მაჟორის არსებობის მიუხედავად) „მაგთიკომის" წინაშე მიღებული „მომსახურების" საფასურის გადახდაზე, ისევე როგორც ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის (როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირის) ანაზღაურებაზე.

## 20. მუხლი. ინტელექტუალური საკუთრება

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**20.1.** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ინტელექტუალური საკუთრების უფლება რჩება იმ მხარის საკუთრებაში, რომელიც ქმნის ან ფლობს მას და ამ „ხელშეკრულებაში“ არაფერი არ ჩაითვლება როგორც რაიმე უფლების ან ლიცენზიის მინიჭებად ერთი მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებზე მეორე მხარისთვის, და არაფერი ამ „ხელშეკრულებაში“ არ ჩაითვლება როგორც მზღუდავი რომელიმე მხარის უფლებას ფლობდეს, გამოიყენოს, ისარგებლოს, გასცეს ლიცენზია, ასევე მიანიჭოს ან გადასცეს საკუთარი ინტელექტუალური საკუთრება.

**20.2.** „მხარეები“ შეთანხმდებიან პირობებზე რომელიც დაკავშირებული იქნება ინტელექტუალურ ქონებასთან (მათ შორის სახელზე), რომელიც შესაძლოა შეიქმნას ერთობლივად ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში ან სხვაგვარად არის დაკავშირებული წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“.

**20.3.** თუ ინტელექტუალური ქონება შექმნილია წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესრულებისას, მაშინ „მხარეებს“ შორის რაიმე სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ინტელექტუალური ქონების საკუთრება რჩება იმ „მხარეს“, რომელმაც შექმნა ის. თითოეული „მხარე“ იყენებს მესამე პირების ინტელექტუალურ საკუთრებას (რომლის ლიცენზიაც მოპოვებული აქვთ), რომელიც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების მიმდინარე ფუნქციონირებისთვის და ქსელების თავსებადობისთვის.

**20.4.** „მხარეები“ თანხმდებიან, რომ მათთვის მინიჭებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები რომელიც გამოყენებული იქნება „ხელშეკრულების“ მიზნებისთვის, წყდება „ხელშეკრულების“ შეწყვეტისთანავე, თუ სხვაგვარად არ არის წერილობითი შეთანხმებული.

**20.5.** „კომპანია“ ადასტურებს, რომ მოპოვებული აქვს უფლება/ლიცენზია შესაბამისი უფლებამფლობელი პირისაგან ისარგებლოს იმ პროგრამული უზრუნველყოფით თუ სხვა სახის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტით, რომელსაც „კომპანია“ იყენებს.

**20.6.** ინტელექტუალური საკუთრების ყველა უფლება „მაგთიკომის“ სასაქონლო ნიშანზე/პატენტზე, „მაგთიკომის“ ინტელექტუალური საკუთრების სხვა ობიექტზე და „მაგთიკომის“ ქსელზე რჩება „მაგთიკომის“ საკუთრებაში. „კომპანიას“ ეკრძალება „მაგთიკომის“ ბრენდით/სახელით/სავაჭრო ნიშნით საკუთარი მომსახურების ბრენდირება ან რეკლამირება ან „მაგთიკომის“ სახელწოდების ნებისმიერი ფორმით

გამოყენება, თუ ეს პირდაპირ და ცალსახად არ იქნება წინასწარ ნებადართული თავად „მაგთიკომის“ მიერ.

**20.7.** „მხარეთა“ ინტელექტუალურ შემოქმედებითი შრომის შედეგად შექმნილი ნებისმიერი ნაწარმოები ან/და აღმოჩენა წარმოადგენს მისი შემქმნელის ინტელექტუალურ საკუთრებას და მეორე „მხარე“ ვალდებულია დაიცვას „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა“ შესახებ საქართველოს კანონი და არ გამოიყენოს არ გაახმაუროს ასეთი ნაწარმოები თუ აღმოჩენა.

**20.8.** „მხარეებმა“ შესაბამისი ნებართვის არსებობისას, უნდა გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრება და სხვა „მხარის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ მოთხოვნილ ობიექტებზე და/ან მომსახურებებზე წვდომის მიწოდების ან წვდომის მიზნებისათვის. მხარემ არ უნდა გამოიყენოს ინტელექტუალური საკუთრება ან ინფორმაცია სხვა საკომუნიკაციო სერვისების ან აღჭურვილობის განვითარების ან მარკეტინგისთვის, ან საკუთარი სტრუქტურული ერთეულის, შვილობილ კომპანიებში, სხვა პარტნიორ/აფილირებულ კომპანიებში, რომლებშიც მას აქვს პირდაპირი ან არაპირდაპირი წილი, სახელშეკრულებო ან სხვა ინტერესი, ან მესამე პირებისთვის.

**20.9.** ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ შეუზღუდავად აგებს პასუხს „მაგთიკომისთვის“ ზიანის მიყენების შემთხვევაში და ვალდებული იქნება აუნაზღაუროს როგორ პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზიანი.

## 21. მუხლი. საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულება

**21.1.** თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად იმოქმედოს ამ „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებულ ან მის ფარგლებში გათვალისწინებულ ყველა საკითხში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ მოლაპარაკებების დროს.

**21.2.** „კომპანია“, როგორც საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორი, საქმიანობს საკუთარი სახელით და მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი მის საქმიანობაზე და „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. „დაშვების მსურველი“ იქნება პასუხისმგებელი ნებისმისიერი საჯარო თუ კერძო პირის წინაშე საკუთარ ქმედებებზე და მისი საქმიანობის „კანონმდებლობასთან“ შესაბამისობაზე

**21.3.** „კომპანია“ ვალდებულია შეასრულოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის, „ხელშეკრულების“ დანართის - „მონაცემთა დამუშავებაზე შეთანხმების“ პირობები.

**21.4.** „კომპანია“ ვალდებულია შეასრულოს „სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ“ „კომისიის“ დადგენილებით და პორტირებასთან დაკავშირებული „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

**21.5.** „კომპანია“ ვალდებულია შეასრულოს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის უზრუნველყოს საკუთარი „აბონენტებისგან“ 112-ს მომსახურების საფასურის დარიცხვა და ამოღება.

**21.6.** „კომპანია“ ვალდებულია საკუთარი „აბონენტებისთვის“ მომსახურების მიწოდების მიზნით „კანონმდებლობით“ დადგენილი წესით მოიპოვოს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა.

**21.7.** „კომპანია“ ვალდებულია შეასრულოს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, მათ შორის უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციისა და მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების რეალურ დროში მოპოვების, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ბაზების კოპირების ტექნიკური შესაძლებლობების, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობა და უზრუნველყოს გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრისა და "მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის აქტივაციის ფაქტის დაფიქსირების ტექნიკური შესაძლებლობისა და მისი ფუნქციონირების შეზღუდვის (ბლოკირების) ტექნიკური შესაძლებლობა.

**21.8.** „კომპანია“ ვალდებულია დაიცვას ელექტრონული კომუნიკაციის მაინტიფიცირებელი მონაცემების შენახვის და პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები.

**21.9.** „კომპანია“ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი საჯარო თუ კერძო პირის წინაშე საკუთარ ქმედებებზე და მისი საქმიანობის „კანონმდებლობასთან“ შესაბამისობაზე.

**21.10.** „მაგთიკომი" ელექტრონულად, „მხარეთა" მიერ შეთანხმებული ფორმით მიაწვდის „კომპანიას" ჩანაწერებს/ინფორმაციას, რაც გონივრულად არის საჭირო იმისათვის, რომ „კომპანიამ" შეძლოს თავისი ბიზნესის მართვა, კანონმდებლობის შესაბამისად.

**21.11.** კომპანია თავად იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი კომპეტენციის მქონე სახელმწიფო უწყებების, მათ შორის სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდებაზე თუ სხვა სახის ღონისძიების განხორციელებაზე.

**21.12.** „დაშვების მსურველს" ამ „ხელშეკრულების" მოქმედების პერიოდში აქტიური უნდა ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დაზღვევა.

**21.13.** „მაგთიკომის" მოთხოვნის მიღებისთანავე, „დაშვების მსურველი" ვალდებულია გონივრულ ვადაში, წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ შეასრულა და/ან აგრძელებს ვალდებულებების შესრულებას ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

## 22. მუხლი. მონიტორინგი/აუდიტი

**22.1.** „მაგთიკომს" უფლება აქვს განახორციელოს მონიტორინგი და ჩაატაროს „კომპანიის" ქსელის ანალიზი /საქმიანობის მონიტორინგი „ხელშეკრულებით"/კანონმდებლობის გათვალისწინებული სტანდარტების, სისტემების ან „ხელშეკრულებით" დადგენილი სხვა ვალდებულებების (მათ შორის, შრომის, ინფორმაციული უსაფრთხოების და პერსონალური მონაცემების დამუშავების ნაწილში) შესაბამისობის დადგენის მიზნით.

**22.2.** „მაგთიკომი" უფლებამოსილია მონიტორინგი ჩაატაროს თავად ან მის მიერ დაქირავებული აუდიტორის/სპეციალისტის საშუალებით, იმ პირობით, რომ ასეთ პირთან გაფორმებული ექნება შეთანხმება ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

**22.3.** „კომპანია" ვალდებულია კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს „მაგთიკომთან" მონიტორინგის ჩატარებისას და მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რაც დაკავშირებული იქნება მონიტორინგის ჩატარებასთან და დაუშვას საკუთარ ქსელთან/ინფრასტრუქტურასთან, იმ პირობით, რომ „მაგთიკომის" მიერ

დაცული იქნება მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

**22.4.** თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება შეუსაბამობები, „კომპანია“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აღმოფხვრას მონიტორინგის შედეგად ნებისმიერი ხარვეზი ან შეუსაბამობა.

**22.5.** თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდება არსებითი შეუსაბამობები, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია არსებული რისკის პროპორციულად მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის შეზღუდოს გარკვეული სახის „მომსახურების“ მიწოდება ან შეზღუდოს „კომპანიას“ „მაგთიკომის“ ქსელზე/ინფრასტრუქტურაზე დაშვების კომპონენტები, რომელიც აუცილებელი იქნება „მაგთიკომის“ ქსელის და მისი „ბოლო მომხმარებლების“ დასაცავად, სანამ „კომპანიის“ მიერ არ იქნება აღმოფხვრილი ასეთი შეუსაბამობები.

## 23. მუხლი. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

**23.1.** „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან კეთილსინდისიერად ისარგებლონ „ხელშეკრულებით“ მინიჭებული უფლებებით.

**23.2.** „მხარეები“ ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად და დათქმულ დროს შეასრულონ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

**23.3.** „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან თავად დაადგინონ საკუთარი „აბონენტებისთვის“ საცალო პოლიტიკა, ტარიფები, შეთავაზებები, აქციები.

**23.4.** „მაგთიკომის“ მიერ საკუთარ „აბონენტებისთვის“ შეთავაზებული სერვისების ნუსხის (პორტფელის) შემცირებამ შეიძლება, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს შედარებითი შეზღუდვები „კომპანიის“ მიერ საკუთარი „აბონენტებისთვის“ შეთავაზებულ სერვისებზე, იმ პირობით, რომ „მაგთიკომი“ წინასწარ აცნობებს ამის შესახებ და უზრუნველყოფს „კომპანიისთვის“ „აბონენტებისთვის“ იმავე ხარისხისა და დაფარვის სერვისის მიწოდებას, როგორსაც ის აწვდის საკუთარ „აბონენტებს“ და „მაგთიკომის“ ქსელზე დაშვებულ სხვა ოპერატორებს, რომელიც სარგებლობენ ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული მომსახურებით.

**23.5.** „მაგთიკომი" უფლებამოსილია მის ქსელში მართოს ტრაფიკის ნაკადი (მათ შორის, „კომპანიის" მომხმარებლების ჩათვლით) ქსელის მთლიანობის შესანარჩუნებლად ან მომსახურების გასაუმჯობესებლად კონკრეტულ ზონაში, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფს „კომპანიისთვის" „აბონენტებისთვის" იმავე ხარისხისა და დაფარვის სერვისის მიწოდებას, როგორსაც ის აწვდის საკუთარ „აბონენტებს" და „მაგთიკომის" ქსელზე დაშვებულ სხვა ოპერატორებს, რომელიც სარგებლობენ ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მომსახურებით.

**23.6.** „კომპანიას" ეკრძალება გაყიდოს „მაგთიკომისაგან" შეძენილი „მომსახურება" საკუთარი „აბონენტებზე" თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად.

**23.7.** „კომპანია" ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდავი ქმედებები, მათ შორის, მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა „ავტორიზებულ პირთა" ან „მომხმარებელთა" ჯგუფების ხარჯზე.

**23.8.** „კომპანია" ვალდებულია თავად უზრუნველყოს თანხების დარიცხვა და ამოღება საკუთარი „აბონენტებისაგან". იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია" ვერ შეძლებს საკუთარი „აბონენტებისაგან"/კონტრაქტორებისაგან თანხების ამოღებას, მიუხედავად იმისა რა მიზეზით არ განხორციელდა იგი, ეს გარემოება არ ათავისუფლებს „მაგთიკომის" წინაშე ანგარიშსწორების ვალდებულებისაგან.

**23.9.** „კომპანია" ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს „მაგთიკომს" კონტროლის ცვლილების თაობაზე.

**23.10.** „კომპანია" ვალდებულია არ იმოქმედოს იმგვარად, რომ რაიმე სახის ზიანი მიადგეს „მაგთიკომის" სახელს და მის რეპუტაციას.

**23.11.** „კომპანია" ვალდებულია არ გაავრცელოს რაიმე წინასწარ გადაუმოწმებელი/ყალბი ინფორმაცია „მაგთიკომის" ქსელის შესახებ, არც შეცდომაში შეიყვანოს ან გააკეთოს შეცდომაში შემყვანი/მცდარი/ყალბი განცხადებები ან გარანტიები „მაგთიკომის" ქსელთან დაკავშირებით.

**23.12.** „მხარეები" თანხმდებიან, რომ ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებიდან გამომდინარე გადაწყვეტენ „ხელშეკრულების" მოქმედების განმავლობაში წამოჭრილ საკითხებს და მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას, რომელიც შეიძლება მომავალში წარმოიშვას, მათ შორის, კომუნიკაციების დარგის განვითარებასთან, ახალი

ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით ან სხვა ნებისმიერი ტექნიკური თუ იურიდიული საკითხის მოგვარებისათვის, რომლის გათვალისწინება შეუძლებელია „მხარეთა" მიერ „ხელშეკრულების" გაფორმების დღისათვის.

**23.13.** „მხარეები" წინასწარ, გონივრული ვადით ადრე შეატყობინებენ ერთმანეთს საკუთარ ქსელში/აპარატურაზე ჩატარებული დაგეგმილი სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოების თაობაზე.

**23.14.** „მხარეები" ვალდებულნი არიან დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა „მხარეთა" გაფორმებული შორის გაფორმებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან, „მხარეები" ვალდებულნი არიან გაუფორმონ შესაბამისი შეთანხმება კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვაზე საკუთარ წარმომადგენლებს (თანამშრომლებს), კონსულტანტებს, აგენტებს, კოტრაქტორებს, აგრეთვე ნებისმიერ იმ პირს რომელიც ჩართულ იქნება „ხელშეკრულების" მოქმედების არეალში, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე.

**23.15.** მხარეებს შორის სხვაგვარი შეთანხმების არ არსებობისას, „დაშვების მსურველი" ვალდებულია თავად უზრუნველყოს ურთიერთჩართვებზე პაკეტური კომუტაციის მონაცემთა გადაცემის სერვისები მესამე პირებთან (ოპერატორებთან), როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ოპერატორებთან.

## 24. მუხლი. „ხელშეკრულების" ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

**24.1.** „ხელშეკრულება" ძალაში შედის ------ წლის ------------------------ დან.

**24.2.** „ხელშეკრულება" მოქმედებს ----- წლის ვადით.

**24.3.** „ხელშეკრულება" არ გრძელდება ავტომატურად და მისი მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 90 დღით ნებისმიერ „მხარეს" აქვს უფლება წამოიწყოს მოლაპარაკება „ხელშეკრულების" მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე.

**24.4.** 24.3 პუნქტით დადგენილ ვადაში თუ არც ერთი „მხარე" არ გამოხატავს სურვილს „ხელშეკრულების" მოქმედების ვადის გაგრძელების თაობაზე, „ხელშეკრულება" შეწყდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

## 25. მუხლი. ცვლილებების განხორციელება

**25.1.** „ხელშეკრულების" ცვლილების საფუძველი შეიძლება იყოს:

**25.1.1.** რომელიმე მხარის უფლებამოსილების ცვლილება სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებაზე;
**25.1.2.** საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც არეგულირებს ან ეხება საქართველოს სატელეკომუნიკაციო დარგს, რომელიც არსებითია „ხელშეკრულებისთვის"; ან
**25.1.3.** მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გავლენას ახდენს ან მოსალოდნელია გავლენის მოახდენს „ხელშეკრულების" კომერციულ ან ტექნიკურ საფუძვლებზე;
**25.1.4.** „ხელშეკრულებით" პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევა.

**25.2.** 25.1 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, „მხარემ" უნდა გაუგზავნოს მეორე „მხარეს" შეტყობინება „ხელშეკრულების" ცვლილების განხილვის მოთხოვნით, რომელიც გონივრულად დეტალურად უნდა აყალიბებდეს განსახილველ საკითხებს და ასეთი განხილვის საფუძველს „ხელშეკრულების" შესაბამისად.

**25.3.** განხილვის შეტყობინების მიღებიდან თხუთმეტი (15) სამუშაო დღის განმავლობაში, „მაგთიკომსა" და „დაშვების მსურველის" დანიშნული წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილება, შეიკრიბებიან და კეთილსინდისიერ მოლაპარაკებას მოახდენენ გადასაწყვეტ საკითხებზე შესაბამისი ცვლილებების ან შესწორებების შეთანხმების მიზნით.

**25.4.** გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „მაგთიკომი" და „დაშვების მსურველი" თანხმდებიან, რომ განხილვის შეტყობინების მიუხედავად, „ხელშეკრულება" დარჩება ძალაში.

**25.5.** თუ რომელიმე განხილვის შეტყობინების საკითხზე „მხარეები" ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, გამოყენებული იქნება დავების გადაწყვეტის პროცედურის დებულებები.

**25.6.** თუ „მხარეთა“ შორის მოხდება შეთანხმება „ხელშეკრულების“ ცვლილებაზე ან მოდიფიცირებაზე, იმის მიხედვით, რაც შეთანხმებულია „მხარეები“ გააფორმებენ შესაბამის შეთანხმებას.

**25.7.** ამ მუხლში აღწერილი პირობების მიუხედავად, „მაგთიკომის“ მხრიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი საფასურის ცვლილებისას გამოიყენება ამ 25.7 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

**25.7.1.** „მაგთიკომს“ უფლება აქვს გადახედოს და ცალმხრივად შეცვალოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული საფასური ამ მუხლით დადგენილი წესით.

**25.7.2.** ცვლილებები ძალაში შევა „კომპანიისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 60 დღის შემდეგ.

**25.7.3.** მომსახურების საფასურის გადახედვის საფუძველი შესაძლოა იყოს მაგ. მობილურ საკომუნიკაციო ბაზარზე ტარიფების ცვლილება, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება, ინფლაცია, გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოდელით ახალი ტარიფების მიღება და სხვა ობიექტური გარემოებები.

**25.7.4.** იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ ეთანხმება შეტყობინებაში მითითებულ ცვლილებებს, იგი ამის შესახებ აცნობებს „მაგთიკომს“ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

**25.7.5.** თუ „მხარეები“ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას საფასურის ცვლილებაზე, „კომპანიის“ მხრიდან ასეთი შეტყობინება ჩაითვლება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და დაიწყება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

**25.7.6.** იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ დროულად ვერ უზრუნველყოფს „მაგთიკომისთვის“ საპასუხო შეტყობინების მიწოდებას, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „კომპანიის“ მხრიდან თანხმობად „ხელშეკრულების“ შეცვლილი საფასურით გაგრძელებაზე და საფასურის შეიცვლება „მაგთიკომის“ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

**25.7.7.** მიუხედავად 25.7.1-25.7.6 პუნქტებში აღნიშნულისა, თუ ნებისმიერი საანგარიშსწორებო პერიოდის (საარიშსწორებო თვის) ბოლოს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში დადგენილი გაცვლითი კურსის საშუალო მაჩვენებელი აღემატება „ხელშეკრულების“ დადების მომენტში არსებულ კურსს 5%-ით ან მეტით, ასეთ შემთხვევაში „მაგთიკომის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე სახელშეკრულებო

მომსახურების ტარიფები შეიცვლება ავტომატურად შესაბამისი პროპორციით. აღნიშნული პირობის ამოქმედებისას საბითუმო ტარიფების ზრდა შესაბამისობაში იქნება კომისიის მიერ დადგენილი ე.წ. „შეკუმშვის ტესტის“ მეთოდოლოგიასთან.

**25.8.** ამ მუხლში აღწერილი პირობების მიუხედავად, თუ „მაგთიკომის“ მხრიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის ცვლილებისას, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ამ 25.8 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

**25.8.1.** ცვლილების განხორციელების შესახებ „მაგთიკომი“ წერილობით შეატყობინებს „კომპანიას“.

**25.8.2.** იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ ეთანხმება ცვლილებას, წერილობით უნდა აცნობოს „მაგთიკომს“ ცვლილების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 5 დღის ვადაში. ასეთ შემთხვევაში, „მხარეები“ შემდგომი 25 დღის განმავლობაში შეეცდებიან შეთანხმება მიაღწიონ ცვლილების განხორციელებაზე.

**25.8.3.** შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში, „მაგთიკომის“ მიერ შეთავაზებული ცვლილებები ძალაში 25.8.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 31-ე დღეს.

**25.8.4.** თუ „კომპანიას“-ს არ სურს შეცვლილი პირობებით „ხელშეკრულების“ გაგრძელება, ჩაითვლება „კომპანიის“-ს მხრიდან „ხელშეკრულების“ შეწყვეტის ნების გამოვლენად და დაიწყება „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

**25.8.5.** იმ შემთხვევაში, თუ 25.8.2. პუნქტით დადგენილ ვადაში „კომპანია“ წერილობით არ შეატყობინებს „მაგთიკომს“ პოზიციას შემოთავაზებულ ცვლილებასთან დაკავშირებით, ეს შემთხვევა მიჩნეული იქნება „კომპანიის“ მხრიდან თანხმობად „ხელშეკრულების“ შეცვლილი პირობებით გაგრძელებაზე. ასე შემთხვევაში, პირობები შეცვლილად ჩაითვლება „მაგთიკომის“ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

**25.9.** ამ მუხლში აღწერილი პირობების მიუხედავად, თუ მომსახურების პირობები იცვლება „ოფერტაში“ განხორციელებული ცვლილების გამო, გამოიყენება ამ 25.9 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

**25.9.1.** „ხელშეკრულებაში“ ცვლილებები შესაძლოა შევიდეს „ოფერტის“ ცვლილების შემთხვევაში.

**25.9.2.** „მაგთიკომი“ ოფერტაში ცვლილებას ათანხმებს „კომისიასთან“ და განახლებული „ოფერტის“ გამოქვეყნების შემთხვევაში, აცნობებს „კომპანიას“ განხორციელებული ცვლილების თაობაზე.

**25.9.3.** „ხელშეკრულებაში“ ცვლილება განხორციელებულად ჩაითვლება „მაგთიკომის“ მიერ „კომპანიისთვის“ შეტყობინების გაგზავნიდან 31-ე დღეს.

**25.9.4.** თუ „კომპანია“ არ ეთანხმება ცვლილებებს, უფლება აქვს დაიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

**25.10.** „მხარეები“ უფლებამოსილი არიან ნებისმიერ დროს შეცვალონ „ხელშეკრულების“ პირობები, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

**25.11.** ახალი „მომსახურების“ შემოღების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ შესაბამის ცვლილებას შეიტანს „ოფერტაში“. განახლებული ოფერტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, „მაგთიკომი“ აცნობებს „კომპანიას“ „ოფერტის“ პირობების განახლების თაობაზე. „კომპანიის“ მხრიდან ახალი „მომსახურების“ მიღების სურვილის გამოხატვის შემთხვევაში, „მხარეები“ შეთანხმდებიან „ხელშეკრულების“ მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

## 26. მუხლი. მომსახურების მიწოდების შეზღუდვა

**26.1.** „მაგთიკომი“ უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს „კომპანიას“ „მომსახურების“ მიწოდება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**26.2.** „მომსახურების“ შეზღუდვის უფლების გამოყენებისას „მაგთიკომი“ ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და გამოყენებული ღონისძიება უნდა დარღვევის ადეკვატური. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „კომპანიის“ მხრიდან „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ანგარიშსწორების, „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის“ მე-8 მუხლით და მე-19 მუხლით მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დაღვევის, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც

„კომპანიის“ ქმედების გამო შესაძლოა ზიანი მიადგეს „მაგთიკომის“ ქსელს, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია შეზღუდოს მომსახურების მიწოდება.

**26.3.** „მაგთიკომს“ შეუძლია შეზღუდოს „ხელშეკრულება“ (მიწოდებული მომსახურება) იმ მოცულობით, იმ ვადით და იმ ვალდებულებების შესრულებამდე, რასაც თვითონ ჩათვლის გონივრულად და შეწყვიტოს წვდომა მომსახურებებსა და სივრცეებზე შემდეგ შემთხვევებში:

**26.3.1.** „კომპანიის“ ქსელი/აპარატურა მნიშვნელოვნად და უარყოფითად მოქმედებენ „მაგთიკომის“ ქსელზე/აპარატურაზე, ან მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ნებისმიერ სხვა პირის უსაფრთხოებას; ან

**26.3.2.** მომსახურებებზე წვდომა შესაძლო საფრთხეს უქმნის „მაგთიკომის“ ქონებას, თანამშრომლებს ან კონტრაქტორებს; ან

**26.3.3.** დადგა ფორს-მაჟორული მდგომარეობა; ან

**26.3.4.** „კომპანია“ არღვევს, „ხელშეკრულებას“ კანონს, რეგულაციას, წესს ან სტანდარტს, რასაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა აქვს „მაგთიკომის“ სივრცეებსა, ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, პერსონალურ მონაცემების დაცვაზე;

**26.3.5.** თუ კანონთან და რეგულაციებთან შესაბამისობაში ყოფნა მოითხოვს ამას;

**26.3.6.** „ხელშეკრულება“, გაწეული მომსახურება ან წვდომა სივრცეზე უკანონოა ან უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას;

**26.3.7.** თუ „დაშვების მსურველის“ მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის მცდარი, ტყუილი, არაზუსტი და გააჩნია მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მეორე მხარეზე სერვისების გაწევასა ან სივრცეებზე წვდომის მხრივ;

**26.3.8.** თუ „კომპანია“ დაარღვევს „ხელშეკრულებით“ გაცემულ რომელიმე გარანტიას;

**26.3.9.** თუ „მაგთიკომს“ აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ „კომპანიამ“ სცადა გამოეყენებინა, ცდილობს გამოიყენოს ან გამოიყენა სივრცე ან მომსახურება კანონის დარღვევით;

**26.3.10.** „მაგთიკომს“ აქვს საჭირო მტკიცებულებები „კომისიისგან“ ან შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურისგან, რომ „კომპანია“ წინააღმდეგობაშია კანონთან;

**26.3.11.** „კომპანიამ“ დაარღვია „ხელშეკრულების“ პირობა მას მიეცა დრო დარღვევის აღმოსაფხვრელად ვადა და აღნიშნულ ვადაში არ უზრუნველყო დარღვევის აღმოფხვრა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ხელშეკრულების“ სხვა დებულებების შესაბამისად, „მაგთიკომს“ უფლება აქვს უფლება აქვს გამოიყენოს შეზღუდვის უფლება დარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის დაწესების გარეშე).

**26.4.** როდესად „მომსახურებების“ მიწოდება ან ობიექტებზე წვდომა ნაწილობრივ იზღუდება:

**26.4.1.** შეწყდება შეწყვეტილი მომსახურება ან ობიექტზე დაშვება/წვდომა;

**26.4.2.** სხვა მომსახურებების ან ობიექტების მიწოდება, რომელიც არ არის გათვალისწინებული შეწყვეტით, გაგრძელდება; და

**26.4.3.** „ხელშეკრულება" დარჩება სრულ ძალაში და მოქმედებაში;

**26.4.4.** შეწყვეტას არ ექნება გავლენა „ხელშეკრულების" პირობებზე, რომელიც დაკავშირებულია სხვა მომსახურების მიწოდებასთან ან ობიექტებზე დაშვებასთან;

**26.4.5.** ყველა უფლება და სარგებელი, რომელიც ენიჭება მხარეს ამ „ხელშეკრულებით" ან მომსახურებების/ობიექტების მიწოდების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუყონებლივ შეწყდება;

**26.4.6.** „დაშვების მსურველმა" უნდა გააგრძელოს ყველა საფასურის გადახდა ნებისმიერ შეჩერებულ მომსახურებასთან/წვდომასთან დაკავშირებით იმ სერვის(ებ)ის შეჩერების ხანგრძლივობის განმავლობაში ან ობიექტებზე წვდომის პერიოდში, სხვა მომსახურებებთან ან ობიექტებთან ერთად, რომლებიც არ ექვემდებარება შეჩერებას.

**26.5.** „მაგთიკომი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს „მომსახურება," მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ „მაგთიკომის" ქსელის რაიმე შეფერხება გამოწვეულია „დაშვების მსურველის" მიერ ან „დაშვების მსურველის" სახელით მომუშავე სხვა სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად.

**26.6.** შეზღუდვის შეტყობინების გაგზავნა ან სხვა მხრივ „ხელშეკრულების", მომსახურების, სივრცეზე წვდომის შეჩერება არ ართმევს „მაგთიკომს" უფლებას გამოიყენოს შეწყვეტის შეტყობინება ან იმოქმედოს სხვაგვარად „ხელშეკრულების" სხვა დებულებების შესაბამისად.

**26.7.** თუ „ხელშეკრულების" სხვა დებულებები სხვაგვარად არ არეგულირებს კონკრეტულ შემთხვევებში „მომსახურების" მიწოდების აღდგენის პირობებს, შეზღუდული/შეწყვეტილი „მომსახურების" მიწოდება აღდგება დარღვევის აღმოფხვრიდან 24 საათის განმავლობაში ან „მხარეთა" მიერ შეთანხმებულ დროს.

**26.8.** გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, წინამდებარე „ხელშეკრულების" ვადაზე გავლენას არ მოახდენს რომელიმე მომსახურების, ობიექტების ან წინამდებარე „ხელშეკრულების" შეჩერება (გარემოებებიდან გამომდინარე).

**26.9.** „მაგთიკომი" არ იქნება პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის" წინაშე რაიმე დანაკარგზე ან ზიანზე (მათ შორის ნებისმიერი თანმდევი ზიანზე), რომელიც შეიძლება

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

განიცადოს „დაშვების მსურველმა“ მომსახურების „ხელშეკრულებით“ და კანონმდებლობით შეზღუდვის, შეჩერების, ობიექტებზე წვდომის შედეგად.

## 27. მუხლი. ხელშეკრულების შეწყვეტა

**27.1.** „მხარეები“ უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეწყვიტონ „ხელშეკრულება“ და ამისათვის შეათანხმონ ვადები.

**27.2.** თუ რომელიმე მხარე არღვევს „ხელშეკრულებას“ რომელიმე დებულებას (მათ შორის, წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული თანხის გადაუხდელობა), მეორე მხარეს შეუძლია წარადგინოს წერილობითი შეტყობინება (შეტყობინება დარღვევის შესახებ) დამრღვევ მხარეს და რაც შეიძლება დეტალურად მიუთითოს დარღვევა და მოთხოვნილი გამოსავალი.

**27.3.** თუ დამრღვევი მხარე ვერ ახერხებს დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ათი (10) კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ არ არსებობს დარღვევის გამოსწორების გონივრული შესაძლებლობა, დაზარალებულ მხარეს შეუძლია, სანამ ასეთი დარღვევა არ გამოსწორდება, განახორციელოს დარღვევის შესახებ შეტყობინებაში მითითებული ქმედებები, მათ შორის, შეაჩეროს/შეზღუდოს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც შეიძლება გონივრული იქნება მოცემულ გარემოებებში.

**27.4.** დაზარალებულ მხარეს შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს „ხელშეკრულება“, იმ შემთხვევებში, თუ დამრღვევი მხარე ვერ ახერხებს დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში.

**27.5.** „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით, მხარისთვის რომელიც არღვევს მას (ან სხვა ისეთი ვადის გასვლისას, რომელიც შეიძლება მითითებული იყოს ასეთ შეტყობინებაში), თუ მოხდება რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილიდან:

**27.5.1.** ერთი „მხარის“ მიერ ცალმხრივად, თუ მეორე „მხარე“ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით ზიანს აყენებს მეორე „მხარეს“;

**27.5.2.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, თუ მეორე „მხარე" უხეშად დაარღვევს „ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებებს;

**27.5.3.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, თუ მეორე „მხარე" ვეღარ უზრუნველყოფს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს ტექნიკური, ეკონომიკური პირობების გაუარესებით ან კანონისმიერი ვალდებულების, სასამართლოს ან „კომისიის" გადაწყვეტილების გამო;

**27.5.4.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, „კომისიის" გადაწყვეტილებით „მაგთიკომის" მიმართ დადგენილი ვალდებულების ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში;

**27.5.5.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, სასამართლოს გადაწყვეტილებით „მაგთიკომის" მიმართ დადგენილი ვალდებულების ცვლილების/გაუქმების შემთხვევაში;

**27.5.6.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, მეორე „მხარის" მხრიდან „ხელშეკრულებით"/ „ოფერტით" გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევის/უზუსტობის შემთხვევაში;

**27.5.7.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, „კომისიის" მხრიდან მეორე „მხარისთვის" ავტორიზაციის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში, რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების" მიწოდება;

**27.5.8.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, თუ მეორე „მხარე" დაარღვევს ელექტრონული კომუნიკაციის ან კონკურენციის შესახებ „კანონმდებლობას", რამაც შეიძლება აკრძალოს ან სხვაგვარად შეზღუდოს „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების" მიწოდება;

**27.5.9.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, მეორე „მხარის" წინააღმდეგ გადახდისუუნარობის (ვალაუვალობის) საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში;

**27.5.10.** MVNO-ს შემთხვევაში, „მაგთიკომის" მიერ ცალმხრივად, „კომპანიის" ან მისი „აფილირებული პირის" მიერ საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების" უზრუნველსაყოფად) მოპოვების შემთხვევაში;

**27.5.11.** „მაგთიკომის" მიერ ცალმხრივად, „კომპანიის" მიერ წარდგენილი „საბანკო გარანტიის" ბათილად/ძალადაკარგულად მიჩნევის ან ვადის გასვლის შემთხვევაში;

**27.5.12.** „მაგთიკომის" მიერ ცალმხრივად, „კომპანიის" მიერ „ხელშეკრულებით" დადგენილი წესით „ხელშეკრულების შესრულების გარანტიის" არ წარმოდგენის/არ გაზრდის შემთხვევაში;

**27.5.13.** „მაგთიკომის" მიერ ცალმხრივად, „კომპანიის" მხრიდან ანგარიშსწორების დაგვიანების შემთხვევაში;

**27.5.14.** MVNO-ს შემთხვევაში, „მაგთიკომის" მიერ ცალმხრივად, „კომპანიის" მიერ მობილური ვირტუალური ქსელის დაშვების მომსახურებით საქართველოში არსებული სხვა „ავტორიზებული პირისაგან" სარგებლობის შემთხვევაში;

**27.5.15.** „მაგთიკომის" მიერ ცალმხრივად, თუ „კომისიის" წევრი ან მისი ოჯახის წევრი გახდება „კომპანიის" ან მისი „აფილირებული პირის" წილის ან აქციის მფლობელი ან დაინიშნება მენეჯერულ პოზიციაზე ან „კომპანია" ან მისი „აფილირებული პირი" მოექცევა „კომისიის" წევრის ან მისი ოჯახის წევრის „კონტროლის" ქვეშ;

**27.5.16.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდა ოცდაათი (30) დღის განმავლობაში;

**27.5.17.** ერთი „მხარის" მიერ ცალმხრივად, თუ რომელიმე მხარე შეწყვეტს საქმიანობას.

**27.6.** „ხელშეკრულების" შეწყვეტის საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს შემთხვევა, როდესაც „მხარე" არღვევს „ხელშეკრულების" პირობას, მეორე „მხარეს" მოთხოვს დარღვევის შეწყვეტას და მისცემს გონივრული ვადა მის აღმოსაფხვრელად, მაგრამ დაწესებულ ვადაში დარღვევა არ იქნება აღმოფხვრილი ან განმეორებით მოხდება დარღვევა.

**27.7.** „კომპანია" უფლებამოსილია ნებისმიერ დაიწყოს „ხელშეკრულების" შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

**27.8.** „მხარის" მიერ „ხელშეკრულების" პირობის დარღვევის შემთხვევაში, მეორე „მხარის" მიერ შეწყვეტის უფლების არ გამოყენება არ ზღუდავს ასეთ „მხარეს" მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს მიყენებული ზიანი/გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

**27.9.** „ხელშეკრულების" შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მხარეს", მისი მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ვალდებულების, მათ შორის დავალიანების დაფარვის შესრულებისაგან ან ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

**27.10.** „ხელშეკრულების" შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას, „მხარე", რომელსაც „ხელშეკრულების" პირობების შესაბამისად წარმოეშობა მისი შეწყვეტის უფლება, უფლებამოსილია წარმოიწყოს „ხელშეკრულების" შეწყვეტის პროცედურა 28-ე მუხლით დადგენილი წესით.

**27.11.** ამ მუხლით გათვალისწინებული „მხარეთა“ უფლება დაიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა, არ ზღუდავს და არ აუქმებს „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებში მოცემულ „მხარეთა“ უფლებას რეაგირება მოახდინონ „ხელშეკრულების“ პირობის დარღვევაზე, მათ შორის შეზღუდოს „მომსახურების“ მიწოდება.

## 28. მუხლი. ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურა

**28.1.** „ხელშეკრულების“ შეწყვეტის საფუძვლის წარმოშობისას, „მხარე“, რომელსაც „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად წარმოეშობა მისი შეწყვეტის უფლება, უფლებამოსილია წარმოიწყოს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურა, ამ მუხლით დადგენილი წესით.

**28.2.** „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურის დაწყების თაობაზე „მხარეს“ უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება.

**28.3.** „მხარეები“ ვალდებულნი არიან შეწყვეტის პროცედურის დაწყების თაობაზე შეტყობინების გაგზავნის შემდგომ კეთილსინდისიერად ითანამშროლონ და შეთანხმდნენ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პირობებზე.

**28.4.** შეწყვეტის პროცედურის დაწყების თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 30 დღის ვადაში „მხარეებმა“ უნდა შეათანხმონ შეწყვეტის პირობები, თარიღი და სხვა საკითხები, მათ შორის „კომპანიის“ აბონენტების მიგრაციის საკითხი.

**28.5.** „კომპანია“ ვალდებულია შეატყობინოს „აბონენტებს“ მისი მხრიდან სერვისის მიწოდების საბოლოო შეწყვეტის თარიღი (თუ „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შედეგად აბონენტებს შეუწყდებათ მომსახურების მიწოდება) და მათი უფლება განახორციელონ პორტირება სხვა საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირის ქსელში.

**28.6.** შეთანხმების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ გამოიყენებს კომერციულად გონივრულ ძალისხმევას, რათა დაეხმარება „კომპანიას“ მისი „აბონენტების“ „მაგთიკომის“ ქსელში მოწესრიგებულ მიგრაციაში, რომ გადასვლა იყოს შეძლებისდაგვარად ეფექტური და სწრაფი. თუ „მხარეები“ სხვაგვარად არ შეთანხმდებიან „კომპანია“ ვალდებული იქნება გაიღოს ხარჯი, რომლებიც დაკავშირებული იქნება „აბონენტების“ მიგრაციასთან.

**28.7.** თუ „მხარეები“ ვერ შეთანხმდებიან „ხელშეკრულების“ შეწყვეტის პროცედურაზე და ვადაზე ან „მხარე“ არ თანამშრომლობს შეწყვეტის პირობების შეთანხმებაზე, წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან 61-ე დღეს „ხელშეკრულება“ ჩაითვლება შეწყვეტილად. ასეთ შემთხვევაში, „კომპანიამ“ თავად, „მაგთიკომის“ დახმარების გარეშე უნდა უზრუნველყოს სერვისის უწყვეტობა „აბონენტების“ ინტერესების დაუზიანებლად.

**28.8.** ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებები არ ზღუდავს და არ აუქმებს „ხელშეკრულების“ სხვა დებულებებში მოცემულ „მხარეთა“ უფლებას რეაგირება მოახდინონ „ხელშეკრულების“ პირობის დარღვევაზე, მათ შორის, ანგარიშსწორების დაგვიანების, ფროდის ან სხვა არსებითი დარღვევის შემთხვევაში „მომსახურების“ მიწოდების შეზღუდვაზე.

## 29. მუხლი. „ხელშეკრულების“ შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

**29.1.** „ხელშეკრულების“ 28.4 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის თარიღზე „მხარეთა“ შეთანხმების ან 28.7 პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის თარიღიდან 60 დღის განმავლობაში „მაგთიკომი“ დაიანგარიშებს „მაგთიკომის“ მხრიდან გაწეული „მომსახურების“ საფასურს და „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

**29.2.** 29.1 პუნქტის შესაბამისად, „კომპანიის“ მხრიდან გადასახდელი თანხის ოდენობის და სხვა მოთხოვნების განსაზღვრის შემდგომ, წარუდგენს წერილობით და დასაბუთებულ მოთხოვნას „კომპანიას“. „კომპანია“ ვალდებულია დააკმაყოფილოს „მაგთიკომის“ მოთხოვნები წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

**29.3.** 29.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „კომპანიის“ მხრიდან ვალდებულების არ შესრულების შემთხვევაში, „მაგთიკომი“ უფლებამოსილია დაიკმაყოფილოს მოთხოვნები „საბანკო გარანტიიდან“ ან/და „საგარანტიო თანხიდან“. „საგარანტიო თანხიდან“ დარჩენილი თანხას (ასეთის არსებობისას) „მაგთიკომი“ დაუბრუნებს „კომპანიას“ 30 დღის განმავლობაში დაუბრუნდება „კომპანიას“, ხოლო „საბანკო გარანტიის“ შემთხვევაში, „მაგთიკომი“ გაანაღდებს მისი მოთხოვნის პროპორციულ ოდენობას.

**29.4.** თუ „ხელშეკრულების შესრულების გარანტია" ვერ დაფარავს „მაგთიკომის" მოთხოვნას, „კომპანია" ვალდებულია დარჩენილი მოთხოვნები დააკმაყოფილოს „მაგთიკომის" წერილობითი მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში.

**29.5.** „ხელშეკრულების" შეწყვეტის შემდეგ, თითოეული მხარე გადადგამს შესაბამის ნაბიჯს, რაც საჭიროა „მაგთიკომის" ფართის/აპარატურის/აღჭურვილობის პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად. თუ „დაშვების მსურველი" ვერ შეძლებს მის აღდგენას „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან ან ვადის გასვლიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში, „დაშვების მსურველი" ვალდებულია 10 დღის განმავლობაში აუნაზღაუროს შესაბამისი კომპენსაცია გონივრული ხარჯების ასანაზღაურებლად.

**29.6.** თუ „ხელშეკრულების" შეწყვეტიდან ან ვადის გასვლიდან ოცდაათი (30) კალენდარული დღის შემდეგ, რომელიმე მხარე ვერ შეძლებს აღადგინოს რომელიმე ან მთელი მისი აღჭურვილობა მეორე მხარის ქმედებების ან უმოქმედობის გამო (ან მესამე მხარე, აკონტროლებს იმ ადგილს, სადაც ასეთი აღჭურვილობა განლაგებულია) გონივრული მიზეზის გარეშე, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს გონივრული კომპენსაცია, რომელიც უნდა გადაიხადოს მეორე მხარემ ოცდაათი (30) კალენდარული დღის განმავლობაში ამ კომპენსაციის შესახებ წერილობითი მოთხოვნის მიღების დღიდან.

**29.7.** თუ „მაგთიკომი" წყვეტს წინამდებარე „ხელშეკრულებას" ან ტექნიკური საშუალებების ან/და მომსახურებების მიწოდებას (ასეთის არსებობისას) არ არის პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის" წინაშე რაიმე დანაკარგზე ან ზარალზე (მათ შორის, ნებისმიერი თანმდევი ზარალისთვის), რომელიც გამოწვეულია „ხელშეკრულების" ვალიდურ შეწყვეტასთან დაკავშირებით ან მომსახურებების/ობიექტების მიწოდებსთან (ასეთი შემთხვევაში).

**29.8.** „ხელშეკრულების" ან მის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებების/ობიექტის მიწოდების შეწყვეტა (გარემოებიდან გამომდინარე) არ ჩაითვლება რომელიმე პირობის დარღვევად და არ აზიანებს მხარეთა ვალდებულებას ან/და უფლებას, რომელიც წარმოიქმნა „ხელშეკრულების" შეწყვეტამდე.

**29.9.** „ხელშეკრულების" შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე შეწყდება „მხარეთა" შორის გაფორმებული ხელშეკრულება ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. შესაბამისად, „მხარეები" ვალდებულნი არიან გაანადგურონ მეორე „მხარის" კონფიდენციალური ინფორმაცია ინფორმაციის

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ ხელშეკრულებით და პერსონალური მონაცემების დამუშავებზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში, ხოლო თუ კონკრეტულ ინფორმაციაზე ვადა დადგენილი არ არის სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

## 30. მუხლი. პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურება

**30.1.** თითოეული მხარე გამოიყენებს სატელეკომუნიკაციო ოპერატორის გონივრულ უნარს და იზრუნებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას.

**30.2.** არცერთი მხარე არ გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას:

**30.2.1.** განზრახ მიყენებულ ზიანზე;;
**30.2.2.** რომელიც არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს კანონით.

**30.3.** ერთი „მხარის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნება მისი ბრალეული ქმედებით (მოქმედება ან უმოქმედობა), ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ „ხელშეკრულების“ სხვა მუხლებიდან სხვა რამე არ გამომდინარეობს („ხელშეკრულებით“ დადგნილი გამონაკლისების და შეზღუდვების გათვალისწინებით).

**30.4.** „ხელშეკრულების“ მონაწილე „მხარე“ ვალდებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის შესაბამისად აუნაზღაუროს მეორე „მხარეს“ ზიანი, რომელიც გამოწვეულია „მხარის“ წარმომადგენლის ან იმ პირის ქმედებით, რომელიც მან ჩართო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ზიანი უნდა ანაზღაურდეს ისეთივე მოცულობით, როგორც საკუთარი ქმედების დროს.

**30.5.** მხარის პასუხისმგებლობა მეორე მხარის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ამ „ხელშეკრულებიდან“ ან მასთან არის დაკავშირებული (მათ შორის, პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით ან კანონისმიერი ვალდებულების დარღვევისთვის) პროპორციულად მცირდება იმდენად, რამდენადაც:

**დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში**

**30.5.1.** მეორე მხარეს არ გადაუდგამს ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა მინიმუმამდე დაეყვანა საკუთარი დანაკარგი, ზიანი ან მისი ქმედებით ან უმოქმედობით ასეთი ზარალი, ზიანი ან პასუხისმგებლობა;

**30.5.2.** პასუხისმგებლობა გამოიწვია ან წვლილი შეიტანა საკუთარი ქმედებით.

**30.6.** არცერთი მხარე არ იქნება პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე რაიმე დანაკარგზე ან ზარალზე, რომელიც წარმოიქმნება ან დაკავშირებულია ამ „ხელშეკრულებასთან", თუ მხარემ მოითხოვა ან ეცადა იგივე დანაკარგის ან ზიანის ანაზღაურება მხარეთა შორის მოქმედ სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულებიდან.

**30.7.** გარდა „ხელშეკრულებით" პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოქმედი კანონმდებლობით არის დაშვებული (კანონით ნებადართული ზომით), „მაგთიკომი" არ არის პასუხისმგებელი „კომპანიის" წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის.

**30.8.** კანონით ნებადართული ზომით, „მაგთიკომის" პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ამ „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „მომსახურების" მიწოდებით და მისი არ ან არაჯეროვნად მიწოდების შემთხვევაში „დაშვების მსურველის" წინაშე პასუხისმგებლობა შემოიფარგლება „ხელშეკრულებით"/დანართით გათვალისწინებული კომპენსაციით. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, „მაგთიკომი", ხელშეკრულების არ ან არაჯეროვნად შესრულებაზე არ იქნება ვალდებული აუნაზღაუროს რაიმე სახის ზიანი „დაშვების მსურველს", გარდა „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული კომპენსაციისა („ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ოდნობით) და აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, დაზიანებული აპარატურის ღირებულების ანაზღაურებისა.

**30.9.** „მაგთიკომი" სრულად თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს „დაშვების მსურველს", მის „ბოლო მომხმარებლებს" ან მასთან დაკავშირებულ მესამე პირებს, თუ დარღვევა არ არის გამოწვეული „მაგთიკომის" განზრახი ბრალეული ქმედებით.

**30.10.** „მაგთიკომი" არც ერთ შემთხვევაში არ იქნება არის პასუხისმგებელი „დაშვების მსურველის" „ბოლო მომხმარებლის" წინაშე, მათ შორის, „დაშვების მსურველის" მიერ

მიწოდებული სერვისისთვის, ასევე ნებისმიერი კონტენტისთვის, რომელზედაც „ბოლო მომხმარებლებს" შეუძლიათ წვდომა.

**30.11.** როდესაც „მაგთიკომი" „ხელშეკრულებით" დადგენილი წესით შეაჩერებს ან შეწყვეტს მომსახურებას/წვდომას, „დაშვების მსურველი" იქნება პასუხისმგებელი საკუთარი „ბოლო მომხმარებლების" წინაშე, მიწოდებული სერვისის გაუარესებაზე ან შეწყვეტაზე.

**30.12.** „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე „მოვალე მხარის" ვალდებულება, აუნაზღაუროს ზიანი „კრედიტორ მხარეს", მცირდება:

**30.12.1.** იმ მოცულობით, რა მოცულობითაც პასუხისმგებლობა ანაზღაურების მოთხოვნის საგანზე გამომდინარეობს „კრედიტორი მხარის" ან მისი დირექტორების, პერსონალის, კონტრაქტორების ან წარმომადგენლების მოქმედებით ან უმოქმედობით;

**30.12.2.** პროპორციულად იმ ფარგლებისა, რა ფარგლებშიც ზიანის მოთხოვნა გამომდინარეობს „კრედიტორი მხარის" ან მისი დირექტორების, პერსონალის, კონტრაქტორების ან წარმომადგენლების მოქმედებისა ან უმოქმედობიდან.

**30.13.** „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე „მოვალე მხარის" ვალდებულება, აუნაზღაუროს ზიანი „კრედიტორ მხარეს", დამოკიდებულია შემდეგ პირობებზე:

**30.13.1.** „კრედიტორმა მხარემ" უნდა მიიღოს გონივრული ზომები ნებისმიერი მიღებული დანაკარგისა და გამოწვეული ზიანის შესამცირებლად და შესამსუბუქებლად.

**30.13.2.** „კრედიტორმა მხარემ":

**30.13.2.1.** გონივრულ ვადაში, წერილობით უნდა შეატყობინოს „მოვალე მხარეს, როდესაც ის შეიტყობს ან მისთვის ცნობილი გახდება დანაკარგი", ღირებულება, სარჩელი, ზიანი, ხარჯები, პასუხისმგებობა, სამართალწარმოება ან მოთხოვნა; და

**30.13.2.2.** უნდა მისცეს „მოვალე მხარეს" გონივრული შესაძლებლობა გამოასწოროს ის მიზეზი, რამაც მოთხოვნა წარმოშვა; და

**30.13.2.3.** უნდა დაეხმაროს და უზრუნველყოს მოვალე მხარე (მოვალე მხარის ხარჯებით) ინფორმაციითა და უფლებამოსილებით, რაც გონივრულად აუცილებელია „მოვალე მხარისათვის" ზიანის ანაზღაურების

ვალდებულებების შესასრულებლად (იმ პირობით, რომ არცერთ შემთხვევაში „კრედიტორ მხარეს" არ დაეკისრება პასუხისმგებლობა).

**30.14.** „კომპანიის" მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების ან „ხელშეკრულების" პირობების დარღვევის გამო „მაგთიკომისთვის" ფულადი სანქციის დაკისრების შემთხვევაში, „კომპანია" ვალდებული იქნება სრულად აუნაზღაუროს „მაგთიკომს" სანქციით/ჯარიმით გათვალისწინებული თანხა.

**30.15.** „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ნებისმიერი ფულადი ვალდებულების დაგვიანების შემთხვევაში, „მაგთიკომი" უფლებამოსილია დააკისროს „კომპანიას" პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1%-ს ოდენობით, ყოველ დაგვიანებულ დღეზე.

**30.16.** „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლოს/ჯარიმის დაკისრება წარმოადგენს „მხარის" უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა „მხარის" მიერ მეორე „მხარისთვის" წერილობითი მოთხოვნის წარდგენის დღიდან, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება ანგარიშსწორების ვადის გადაცილების დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.

**30.17.** თითოეული „მხარე" უფლებამოსილია, „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება/საურავი/პირგასამტეხლო თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად. ამასთან, „მხარეები" უფლებამოსილნი არიან თავად (ერთპიროვნულად) განსაზღვრონ „ხელშეკრულების" საფუძველზე მიღებული „მომსახურების" საფასურის/საურავის/პირგასამტეხლოს დაფარვის რიგითობა.

## 31. მუხლი. პრეტენზიის განხილვის წესი

**31.1.** „მომსახურების" მიწოდებასთან დაკავშირებული პრეტენზიით „კომპანიამ" უნდა მიმართოს „მაგთიკომს" დანართში - „შეთანხმება მომსახურების ხარისხის შესახებ" მითითებული წესით.

**31.2.** გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად, „მხარეებმა" არ უნდა გამოიყენონ დავების გადაჭრის პროცედურას არაკეთილსინდისიერად.

**31.3.** „მომსახურების" მიწოდებასთან დაკავშირებით დანართში გათვალისწინებული კომპენსაციის მოთხოვნით „კომპანიამ" საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ „კომპანია" კარგავს უფლებას მოითხოვოს კომპენსაცია.

**31.4.** „მხარე" უფლებამოსილია „ხელშეკრულებიდან" გამომდინარე, წერილობით ნებისმიერი პრეტენზიით მიმართოს მეორე „მხარეს". პრეტენზია უნდა იყოს წარდგენილი წერილობითი ფორმით (ან ელ. ფოსტით) და მაქსიმალურად დეტალურად აღწერდეს პრეტენზიის შინაარს და მოთხოვნას.

**31.5.** თუ „ხელშეკრულების" სხვა დებულებებით კონკრეტული პრეტენზიის/მოთხოვნის მიმართვის წესი და განხილვის ვადა დადგენილი არ არის, პრეტენზია განხილულ უნდა იყოს და განხილვის შედეგი უნდა ეცნობოს „მხარეს" პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში.

**31.6.** საჭიროების შემთხვევაში ან ერთი „მხარის" მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენზიის განხილვის მიზნით, შეიქმნება „მხარეთა" ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტება შესაბამისი დარგის სპეციალისტებით.

**31.7.** „მხარეები" ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად ითანამშრომლონ პრეტენზიის განხილვისას.

**31.8.** თუ „კომპანია" არ ეთანხმება დარიცხულ საფასურს, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს „მაგთიკომს" დასაბუთებული პრეტენზია. დარიცხული საფასურის შესახებ პრეტენზიის განხილვა არ აჩერებს ანგარიშსწორების ვადას და შესაბამისად, „კომპანია" ვალდებულია მაინც გადაიხადოს დარიცხული საფასური. თუ „მხარეები" შეთანხმდებიან დარიცხული თანხის კორექტირებაზე, აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნება მომდევნო თვის ანგარიშსწორებისას.

**31.9.** პრეტენზიის განხილვა არ ათავისუფლებს მხარეებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან, ისევე როგორც არ ზღუდავს და არ აუქმებს „ხელშეკრულების" სხვა დებულებებში მოცემულ „მხარეთა" უფლებას რეაგირება მოახდინონ „ხელშეკრულების" პირობის დარღვევაზე.

## 32. მუხლი. ფორს-მაჟორი

**32.1.** გარდა „ხელშეკრულებით" პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, „მხარეები", თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დადგომა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

**32.2.** „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება „მხარეებს" არ შეეძლოთ წინასწარ ევარაუდათ, თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

**32.3.** დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, მათ შორის, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, გაფიცვა, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული და დივერსიული აქტები, ოფიციალურად გამოცხადებული ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, სამოქალაქო ომი და არეულობები, საგანგებო ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, სანქციები, გადაწყვეტილებები, განჩინებები და სხვა სახის აქტები, რაც არსებითად აფერხებს „მხარეთა" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ქსელის უჩვეულო ან არაპროგნოზირებადი გადატვირთვები და შეფერხებები ცალკეულ საბაზო სადგურზე, ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში, „მხარეთა" საკომუტაციო სადგურზე.

**32.4.** თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გადაიწევს.

**32.5.** „მხარემ", რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს ამ გარემოებების დადგომიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, შეატყობინოს მეორე „მხარეს" წერილობით. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების

შემთხვევაში „მხარე“ კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

**32.6.** ფორს-მაჟორის გარემოების გავლენის შეწყვეტის შემდეგ, მხარე, რომელსაც თავდაპირველად დაუდგა ფორს-მაჟორული მოვლენა, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორეს ასეთი მოვლენის დამთავრების შესახებ.

**32.7.** თუ ფორს-მაჟორის შედეგად მხარეს ხელი ეშლება ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ეს მხარე, შეასრულებს მის დარჩენილ ვალდებულებებს, რომლებზეც არ მოქმედებს ფორსმაჟორი.

**32.8.** რამდენადაც რომელიმე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოება ხელს უშლის ამ შეთანხმების ფარგლებში უზრუნველყოფილი ყველა მომსახურების მიწოდებაში, მეორე მხარე თანაბარი ზომით თავისუფლდება ამ მომსახურების საფასურის გადახდის ან მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

**32.9.** ფორს-მაჟორული შეტყობინებების შემდეგ და თუ ასეთი ფორს-მაჟორის ეფექტი გრძელდება:

**32.9.1.** უწყვეტი პერიოდით არაუმეტეს 30 დღისა ფორს-მაჟორული შეტყობინების თარიღიდან (მიუხედავად იმისა, გაგზავნილია თუ არა შეტყობინება შეწყვეტის შესახებ) ნებისმიერი ვალდებულება შესრულდება თავდაპირველად ფორს-მაჟრული გარემოებით დაზარალებული მხარის მიერ, რაც შეიძლება სწრაფად ფორს-მაჟორის ეფექტის დასრულების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შესრულება აღარ არის შესაძლებელი ან არ არის საჭირო/არ არის მოთხოვნილი მეორე მხარის მიერ.

**32.9.2.** უწყვეტი პერიოდით არაუმეტეს 30 დღისა ფორს-მაჟორული შეტყობინების თარიღიდან (მიუხედავად იმისა, გაგზავნილია თუ არა შეტყობინება შეწყვეტის შესახებ), ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება (მაგრამ არა ვალდებული) შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ არანაკლებ ოცდაათი (30) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით მეორე მხარისთვის.

**32.10.** თუ „ხელშეკრულება“ არ წყდება ამ 32-ე მუხლის დებულებების შესაბამისად, ნებისმიერ ვალდებულებას შეასრულებს მხარე, რომელსაც თავდაპირველად შეეხო ფორს-მაჟორი, რაც შეიძლება სწრაფად, ფორს-მაჟორის ეფექტის დასრულების შემდეგ, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ასეთი შესრულება აღარ არის შესაძლებელი ან არ არის საჭირო/არ არის მოთხოვნილი მეორე მხარის მიერ.

## 33. მუხლი. დავის გადაწყვეტა

**33.1.** „მხარეები“ შეეცდებიან „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოება ან დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით.

**33.2.** სადაო საკითხის არსებობის შემთხვევაში, „მხარემ“ წერილობით ან ელ. ფოსტის საშუალებით უნდა მიმართოს მეორე „მხარეს“ მოთხოვნით და შესაბამისი არგუმენტაციით.

**33.3.** „მხარეები“ შეეცდებიან 33.2 პუნქტის შესაბამისად მიმართვიდან 30 დღის განმავლობაში განიხილონ მოთხოვნა და სადაო საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის მიზნით.

**33.4.** ამ „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაცია, ვალიდურობა და აღსრულება ყველა მხრივ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

**33.5.** შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში „მხარეს“ უფლება აქვს სადაო საკითხი განსახილველად მიმართოს „კომისიას“ (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე) ან (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს).

## 34. მუხლი. კომუნიკაცია „მხარეთა“ შორის

**34.1.** „მხარეთა“ შორის კომუნიკაცია შესაძლოა განხორციელდეს „ხელშეკრულებაში“ მითითებულ რეკვიზიტებზე.

**34.2.** „მხარეები“ თანხმდებიან, რომ წერილობითი შეტყობინება გულისხმობს „მხარის“ ფაქტობრივ მისამართზე გაგზავნილ ან ელ. ფოსტაზე გაგზავნილ წერილს.

**34.3.** „მხარეები", ასევე გამოყოფენ საკონტაქტო პირებს/ნომრებს/ელ. ფოსტას, რომელიც მითითებული იქნება შესაბამის დანართში, ტექნიკური თუ სხვა საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით.

**34.4.** „მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ინფორმაცია მისამართის, საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, საბანკო რეკვიზიტების საკონტაქტო პირების ან სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვანია „ხელშეკრულების" შესრულებისათვის.

**34.5.** „მხარის" მიერ საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში, მეორე „მხარისთვის" ბოლოს ცნობილ მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად.

**34.6.** თუ „მხარე" წერილობითი შეტყობინება დაუბრუნდება მეორე „მხარის" ადგილსამყოფელის არ არსებობის გამო ან უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას, ასეთი შეტყობინება მიჩნეულ უნდა იქნას სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად.

## 35. მუხლი. დასკვნითი დებულებები

**35.1.** „ხელშეკრულება" გაფორმებულია „მაგთიკომისთვის" დადგენილი სპეციფიკური ვალდებულების შესრულების ფარგლებში, „კომპანიის" „მაგთიკომის" მობილურ ქსელზე დაშვების მიზნით, რათა „კომპანიამ" საკუთარ „აბონენტებს" გაუწიოს „მობილური საკომუნიკაციო მომსახურება".

**35.2.** „მხარეები" ადასტურებენ, რომ „ხელშეკრულების" პირობებზე შეთანხმება განხორციელდა მისი შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

**35.3.** „დაშვების მსურველს" არ აქვს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული უფლების ან ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის ან ჩანაცვლების უფლება, „მაგთიკომის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

## დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

**35.4.** თუ მხარე მესამე პირს (კონტრაქტორს/ქვეკონტრაქტორს) ავალებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების შესრულებას, მაშინ ამ მხარემ უნდა:

**35.4.1.** უზრუნველყოს, რომ ქვეკონტრაქტორი აკმაყოფილებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ყველა რელევანტურ წესსა და პირობას; და

**35.4.2.** დარჩეს პირველადი პასუხისმგებელი და ვალდებული მეორე მხარის მიმართ:

**35.4.2.1.** ქვეკონტრაქტორის ყველა ქმედებასა და უმოქმედობაზე;

**35.4.2.2.** ასევე ვალდებულებების შესრულებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულებები შესაძლოა გადაცემული იყოს ქვეკონტრაქტორზე.

**35.5.** ეს ხელშეკრულება მოიცავს მხარეებს შორის სრულ შეთანხმებას და ანაცვლებს ნებისმიერ წინა ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, შეთანხმებებს, ან სხვა შეხედულებებს, იქნება ეს ზეპირი თუ წერილობითი, „ხელშეკრულების" საგანთან დაკავშირებით.

**35.6.** გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებაში", ყველა წარმოდგენა, პირობა და გარანტია (გამოხატული თუ ნაგულისხმევი, კანონიერი თუ სხვაგვარი) ცალსახად გამორიცხულია „ხელშეკრულების" მიხედვით. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული გარანტიები არის „მხარის" მიერ გაცემული ერთადერთი გარანტიები.

**35.7.** გარდა „ხელშეკრულებაში" მკაფიოდ გათვალისწინებული „მომსახურების" გაწევისა და სხვა პირობების შესრულებისა, ამ „ხელშეკრულების" მოქმედების ფარგლებში, „მხარეებს" არ აქვთ განზრახვა, წამოიწყონ ერთობლივი საქმიანობა და „ხელშეკრულებაში" ისეთი არაფერია მოცემული, რაც აყალიბებს ურთიერთობას, პარტნიორობას, ან ნდობას მხარეებს შორის, ან აცხადებს ერთ მხარეს მეორის წარმომადგენლად, ან ერთ მხარეს აკისრებს მეორეს დამატებით ვალდებულებებს.

**35.8.** ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება „მხარეს" მეორე „მხარის" მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება „ხელშეკრულებით" ან/და „კანონმდებლობით" მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

**35.9.** ერთი „მხარის“ მხრიდან „ხელშეკრულების“ ან/და „კანონმდებლობის“ სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე „მხარის“ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების არ გამოყენება არ გავრცელდება/არ ზღუდავს მხარეს გამოიყენოს ასეთუ უფლება „ხელშეკრულების“ ან/და „კანონმდებლობის“ ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

**35.10.** „ხელშეკრულების“ რომელიმე პირობის დარღვევისას ან არაჯეროვნად შესრულებისას, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, არ უნდა იქნას აღქმული, როგორც სხვა ანალოგიური ან ნებისმიერი სხვა პირობის შესრულების პასუხისმგებლობისგანაც გათავისუფლება.

**35.11.** „ხელშეკრულების“ რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად „ხელშეკრულების“ ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

**35.12.** „ხელშეკრულების“ მუხლები, დანართები, პუნქტები ან/და ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

**35.13.** „ხელშეკრულების“ დანართებზე სრულად ვრცელდება „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.

**35.14.** „ოფერტის“ და „ხელშეკრულების“ პირობას შორის შეუსაბამობისას, უპირატესობა ენიჭება „ხელშეკრულების“ პირობას. „ხელშეკრულების“ და მის ფარგლებში გაფორმებული 3.1 პუნქტში მითითებული ნებისმიერი დოკუმენტის პირობას შორის კონკურენციისას - უპირატესობა ენიჭება 3.1 პუნქტში მითითებულ დოკუმენტის პირობას. 3.1 პუნქტში მითითებულ დოკუმენტების პირობებს შორის კონკურენციისას უპირატესობა მიენიჭება პირობას, რომელიც უფროა ახალია ან იმ დოკუმენტს, რომლითაც უკეთ მიიღწევა „მხარეთა“ შორის არსებული ურთიერთობის მიზანი.

**35.15.** იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულებით“, „მხარეები“ იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთანხმებული პირობებით.

## დანართი - მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულების ფორმის ნიმუში

**35.16.** გარდა „ხელშეკრულებაში“ მკაფიოდ გათვალისწინებული შემთხვევისა, თითოეული მხარე, რომელიც ხელს აწერს ამ „ხელშეკრულებას“, მოქმედებს მხოლოდ თავისი სამართლებრივი სტატუსით და არა როგორც სხვა პირის წარმომადგენელი, რწმუნებული ან პარტნიორი, და მხოლოდ ხელმომწერი მხარეები სარგებლობენ მისით გათვალისწინებული უფლებით ან სარგებლით.

**35.17.** „ხელშეკრულება“ შედგენილია და გაფორმებულია ქართულ ენაზე.

**35.18.** „ხელშეკრულება“ შეიძლება გაფორმდეს ნებისმიერი რაოდენობის ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული, ხელმოწერის შემდეგ, წარმოადგენს ორიგინალს. ეს ეგზემპლარები ერთობლივად ქმნიან ერთ ხელშეკრულებას. ხეშეკრულების ერთი ეგზემპლარი უნდა გადაეცეს „კომისიას“.